

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

გელა ცეზარის ძე ალადაშვილი

საქართველოს ვაჭრობის სტრატეგიის სრულყოფის
გზები

დისერტაცია

ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის
მოსაპოვებლად

სპეციალობა – სექტორული ეკონომიკა (ვაჭრობა) 08 00 07

მეცნიერ-ხელმძღვანელი –
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
ესტატე ბოლოკაძე

მეცნიერ-კონსულტანტი –
ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, პროფესორი
გურამ ყუფუნია

თბილისი

2006

**თავი 1. საქართველოს ვაჭრობის სტრატეგიის
კონცეფტუალური საფუძვლები**

- 11 ქვეყნის ვაჭრობის სტრატეგიის შემუშავების თეორიული საფუძვლები ----- 13
12. საქართველოს ვაჭრობის სტრატეგიაზე მოქმედი ფაქტორები ----- 34

**თავი 2. საქართველოს საგარეო ვაჭრობის თანამედროვე
მდგომარეობა**

- 21 საგარეო ვაჭრობის დინამიკა და სტრუქტურული თავისებურებანი ----- 51
22. საგარეო ვაჭრობის მასტიმულირებელი და შემაფერხებელი ფაქტორები ----- 77
23. ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში საქართველოს გაწევრიანების შედეგები ----- 94

**თავი 3. საქართველოს ვაჭრობის სტრატეგიული
პერსპექტივები**

- 31 ექსპორტის ხელშეწყობისა და სტიმულირების ღონისძიებები ----- 106
- 32 მსოფლიო ბაზარზე საქართველოს დამკვიდრების პერსპექტივები ----- 130
- დასკვნები და რეკომენდაციები ----- 140
- ლიტერატურა ----- 150

შ ე ს ა ვ ა ლ ი

ფემის აქტუალობა თანამედროვე ეტაპზე ძნელია წარმოიდგინო ნებისმიერი ქვეყნის ეროვნული ეკონომიკის განვითარება მსოფლიო სამეურნეო კავშირებში მონაწილეობის გარეშე ამჟამად ქვეყნის ეკონომიკური წარმატებები განისაზღვრება შრომის საერთაშორისო დანაწილების სისტემაში მისი ადგილით, ეკონომიკური ინტეგრაციისა და გლობალიზაციისადმი, მისი ადაპტაციით ისევე, როგორც ნებისმიერი პოსტსოციალისტური ქვეყნის, საქართველოს სტრატეგიული ამოცანაა ეკონომიკის რეფორმირება მსოფლიო ეკონომიკის პრინციპების, ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების გამოცდილების საფუძველზე, რათა აქტიურად და ოპტიმალურად წაერთოს მსოფლიო სამეურნეო ურთიერთობების თანამედროვე სისტემაში

ეკონომიკური ტრანსფორმაცია, რომელიც ყოფილი ხსრკ-ის ცენტრალურ და ადმოსავლეთ ევროპის ვრცელ ტერიტორიაზე მიმდინარეობს, საჭიროებს შესაბამის მეცნიერულ გააზრებას და თეორიულ განხორციელებას მოცემული ნაშრომი ამ პრობლემატიკიდან ისეთ მნიშვნელოვან ნაწილს ეძღვნება, როგორცაა საგარეო ვაჭრობის სტრატეგია, რომელიც საქართველოს მაგალითზე განხილული

საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის პრობლემათა კომპლექსში საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების, და მათ შორის საგარეო სავაჭრო კავშირების, სტრატეგია უდავოდ მეტად აქტუალურია ცალკეული მასშტაბით სამეურნეო ურთიერთობების გააქტიურებასა და ლიბერალიზაციასთან ერთად მნიშვნელოვანი ხდება იმ ხერხების, მეთოდების და ღონისძიებების ოპერატიული და ოპტიმალური გამოყენება, რომლებიც სარგებლის მომტანი იქნება სამეურნეო კავშირებში მონაწილე სუბიექტებისთვის

ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემიდან საბაზრო მექანიზმზე გადასვლას თან ახლავს ღრმა სისტემური გარდაქმნები და ტრანსფორმაციები საქმიანობის ყველა სფეროში, კერძოდ, საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობებში ისინი მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებასა და გარდამავალი პერიოდის ეკონომიკის რეფორმირების პრობლემათა გადაჭრისათვის აუცილებელი პირობების შექმნაში

ერთიან ეკონომიკურ, სიურცეში ადრე არსებულმა სამეურნეო მექანიზმის კრახმა, წარმოებისა და საინვესტიციო საქმიანობის სისტემურმა კრიზისმა, რომელმაც მოიცვა უკლებლივ ყველა ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფო, გამოიწვია სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო მთლიანი შიდა პროდუქტის მკვეთრი დაცემა, ცხოვრების დონისა და მოსახლეობის დასაქმების დაცემა, ხელი შეუწყო ინფლაციის და უმუშევრობის მკვეთრ ზრდას შიდა რესურსების უქკი ფინანსური რესურსების უკმარისობის პირობებში, ტრადიციული ბაზრების დაკარგვისა და ყოფილ რესპუბლიკებს შორის სამეურნეო კავშირების მოშლის პირობებში, ობიექტურად წარმოიშვა ეკონომიკურ ბრუნვაში საგარეო ეკონომიკური ფაქტორების მაქსიმალური მოხიდვის საჭიროება, ამასთან, საგარეო ეკონომიკურ კავშირებში შიდა რესურსების ჩართვის აუცილებლობა

საგარეო სავაჭრო სტრატეგიის, როგორც მთლიანად საგარეო ეკონომიკური სტრატეგიის, ფორმირებისა და განვითარების ბევრი თეორიული და პრაქტიკული პრობლემა საჭიროებს ეროვნული, სოციალურ-ეკონომიკური, რეგიონული, გეოეკონომიკური ფაქტორების და ყოველი სახელმწიფოს საბაზრო ტრანსფორმაციის თავისებურებების გათვალისწინებას ამჟამად საგარეო სავაჭრო სტრატეგიის, როგორც ეკონომიკური სტრატეგიის ერთიანი სისტემის შემადგენელი ნაწილის დამუშავება, რომელიც დაეფუძნება ამ

თავისებურებებს, სახელმწიფოს მშენებლობის, ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნის და ახალი სამეურნეო კავშირების დამყარების პრიორიტეტული ამოცანაა გარდამავალი ეკონომიკის ყველა ქვეყანაში

საერთაშორისო ვაჭრობა საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ისტორიულად უძველესი და ერთ-ერთი ყველაზე უფრო განვითარებული ფორმაა საგარეო ვაჭრობას დიდი მნიშვნელობა აქვს ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისთვის იგი ქვეყნის ეკონომიკის დარგებში არსებული მდგომარეობის ინდიკატორადაც შეიძლება ნათვალთვინებული რომის ეპოქიდან დაწყებული, იმის მიხედვით, თუ რომელ პროდუქციას ყიდდა და რას ყიდულობდა, შეიძლება გვემსჯელოს სახელმწიფოს ეკონომიკური განვითარების მდგომარეობაზე დღეს მრავალი ქვეყნისთვის და მათ შორის საქართველოსათვის, საგარეო სავაჭრო ურთიერთობები მნიშვნელოვან ბერკეტად რჩება მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრირებისათვის ამიტომ აღნიშნული მიმართულებით სტრატეგიის შემუშავება მეტად აქტუალურია იგი აუცილებელია ეროვნული ესაფრთხიების უზრუნველყოფისთვის და ამასთან, წინაპირობაა ურთიერთხელსაყრელი ეკონომიკური თანამშრომლობისათვის, შრომის საერთაშორისო დანაწილების თანამედროვე სისტემაში ეფექტიანი მონაწილეობისა და მსოფლიო გეოეკონომიკურ სივრცეში წარმატებული ინტეგრაციისათვის

დღეს ნებისმიერი ეკონომიკური პროცესი მეტ-ნაკლებად განიცდის გლობალური ეკონომიკის ზეგავლენას გლობალიზაციის მრავალმხრივი ტენდენციები ფართო მიზეზ-შედეგობრივ კავშირშია საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობების განვითარებასთან სწორედ ამ მოვლენის გათვალისწინებით უნდა აიგოს საქართველოს საგარეო სავაჭრო სტრატეგია. ერთი მხრივ, გლობალური სივრცე, მეორე მხრივ,

შიგაეკონომიკური ტრანსფორმაციის პროცესი ქმნის იმ სპეციფიკურ გარემოს, რომელშიც უნდა ჩამოყალიბდეს ჩვენი ქვეყნის საგარეო ვაჭრობის სტრატეგია

საქართველო 2000 წლიდან ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის (ვმო) წევრია აღნიშნულ ორგანიზაციაში გაწევრიანებით დადასტურებულია ლიბერალური საგარეო სავაჭრო ურთიერთობების უპირატესი ორიენტაცია, საჭიროა იმ შედეგების გაანალიზება, რომელიც ვმო-ში გაწევრიანებით მივიღეთ და აღნიშნულ გარემოებათა გათვალისწინებით საქართველოს საგარეო სავაჭრო სტრატეგიის შემუშავება. გრძელვადიანი სავაჭრო სტრატეგიის შემუშავება მსოფლიო ბაზარზე დამკვიდრების უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა

ნაშრომში გაანალიზებულია ვმო-ში ჩვენი ქვეყნის გაწევრიანების შემდგომ პერიოდში საგარეო ვაჭრობის მდგომარეობა ანალიტიკური კვლევის შედეგებში, ქვეყნის რეალური ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებასთან, საგარეო ვაჭრობის თეორიების კვლევისთან ერთად, საშუალება მოგვცა გამოგვეთქვა მოსაზრებები საქართველოს საგარეო ვაჭრობის სტრატეგიის სრულყოფის გზების შესახებ

ნაშრომში გადმოცემული საერთაშორისო ვაჭრობასთან დაკავშირებული თეორიების კრიტიკული ანალიზი სასარგებლო იქნება საქართველოს საგარეო ვაჭრობის სტრატეგიის კონცეფციის მეთოდოლოგიური სრულყოფისათვის, რამდენადაც მეცნიერულად დასაბუთებული სტრატეგია სწორი ორიენტირია მეტად ცვალებად გლობალურ სამყაროში ნაშრომი დაწერილია უახლესი სტატისტიკური მონაცემების ბაზაზე თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურული წყაროების გამოყენებასთან ერთად

საკვლეპ თემა უდიდესი პრაქტიკული დანიშნულება ექნება ყველა იმ სახელმწიფო უწყებისათვის, რომელსაც ეხება მსოფლიო მეურნეობაში ინტეგრირებისათვის პრიორიტეტების მოძიება და იმ

ბიზნეს-წრეებისათვის, რომლებიც მსოფლიო ბაზარზე დამკვიდრებას ცდილობენ

პრობლემის მეცნიერული დამუშავების მდგომარეობა

საქართველოს უახლეს ისტორიაში საგარეო ვაჭრობის, საგარეო სავაჭრო პოლიტიკის, საერთაშორისო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის შესახებ ნაშრომთა გამოქვეყნება გასული საუკუნის ბოლო ათწლეულში დაიწყო და არ არის საკმარისად მრავალმხრივ დამუშავებული, რაც ობიექტურ გარემოებებს უკავშირდება ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოს წარმოშობასთან, საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში დამოუკიდებელ სუბიექტად მონაწილეობასთან ერთად ქართველი მეცნიერებისათვის საგარეო ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები კვლევის ერთ-ერთ ახალ ობიექტად იქცა საერთაშორისო ვაჭრობის და საქართველოს თანამედროვე საგარეო ვაჭრობის სხვადასხვა ასპექტებს აშუქებენ ქართველი მეცნიერები ლ.კორღანაშვილი, თნიკვაიძე, გ.თოდუა, ვ.პაპავა, თ.ბასილია, ა.სილაგაძე, რ.ასათიანი, დ.ძნელაძე, გ.ჯოლია, ა.გრიშიაშვილი, ა.აბრალავა, ა.სხეიტარიძე, ნ.დუნიძე, ნ.ასლამაიანიშვილი, ი.ნათელაური, თ.ბერუნიანიშვილი, ლ.ლომიძე, ვ.მჭედლიშვილი და სხვა აღნიშნულ თემატიკას ეხება ე.კაკაბაძის, ნ.პაპანიანიშვილის, ე.დუნიანიშვილის, ზ.ბერკაციაშვილის, ა.ფულარიას, პ.გიორგაძის, თ.ყანდაშვილის, დ.ჯინჯოლიას და ა.ლონდარიძის საკანდიდატო დისერტაციები

საგარეო ვაჭრობის შესახებ მეტად მდიდარია უცხოური ლიტერატურა, ახევე ინტერნეტ-რესურსები ჩვენ გავეცანით რუსულ და ინგლისურ წყაროებს

არაუფექტიანი იქნება საქართველოში გადმოვიტანოთ საგარეო ვაჭრობის სტრატეგიის შემუშავების ნეოფაქტორული, ნეოტექნოლოგიური და სხვა მოდელები, რომლებსაც თანამედროვე უცხოელ

მკვლევარები გვთავაზობენ, რადგან გარდამავალი ეკონომიკის ნიადაგი არ არის სათანადოდ მომწიფებული და სტრუქტურირებული ტრანსფორმაციის მოცემულ სტადიაზე საგარეო ვაჭრობის სტრატეგიის ჩამოყალიბებისათვის საჭიროა საგარეო ვაჭრობის და შრომის საერთაშორისო დანაწილების არსებული მოდულებიდან და კონცეფციებიდან ძირითადი პრინციპებისა და ცალკეული ელემენტების გამოყენება მოხდეს ქართული რეალობის გათვალისწინებით ეფექტობით, მოცემული ნაშრომი გარკვეულწილად შეეხება სიცარიელეს თეორიულ, კომპლექსურ და სისტემურ გამოკვლევებში, რომელიც უკავშირდება საქართველოს საგარეო სავაჭრო სტრატეგიის ჩამოყალიბების მრავალასპექტიან პრობლემას.

კვლევის მიზანი და ამოცანები ნაშრომი მიზნად ისახავს საქართველოს საგარეო ვაჭრობის სტრატეგიის სრულყოფის გზების გამოვლენას აღნიშნული მიზნიდან გამომდინარე, სადისერტაციო კვლევის ამოცანებია

- საერთაშორისო ვაჭრობის თეორიების გაანალიზება განვითარების ძირითადი ევოლუციური ხაზის შესაბამისად,
- უპირატესად იმ თეორიული მიდგომების გამოყოფა, რომელიც საფუძვლად უნდა დაედოს საქართველოს საგარეო ვაჭრობის სტრატეგიის ჩამოყალიბებასა და სრულყოფას,
- საქართველოს საგარეო ვაჭრობის სტრატეგიაზე მოქმედი ფაქტორების გამოკვლევა,
- საქართველოს საგარეო ვაჭრობის მდგომარეობის შესწავლა ვაჭრობის მსოფლიო¹ ორგანიზაციაში გაწვერიანების შემდგომ პერიოდში (2000-2004 წწ),
- საქართველოს საგარეო ვაჭრობის მასტიმულირებელი და შემაფერხებელი ფაქტორების გამოვლენა,
- ვმო-ში საქართველოს გაწვერიანების შედეგების გაანალიზება;

- ექსპორტის ხელშეწყობისა და სტიმულირების ღონისძიებების დასახევა მსოფლიოს სხვა ქვეყნების გამოცდილების გაანალიზებისა და საქართველოს გარდამავალი ეკონომიკის თავისებურებების გათვალისწინების საფუძველზე,
- ქვეყნის შიგა ეკონომიკურ გარემოს გაუმჯობესების საკითხის შესწავლა საგარეო სავაჭრო სტრატეგიის სრულყოფის კონტექსტში;
- მსოფლიო ბაზარზე საქართველოს დამკვიდრების პერსპექტივების დასახევა

კვლევის საგანი და ობიექტი კვლევის საგანია საქართველოს საგარეო ვაჭრობის სტრატეგია, მისი ნამოყალიბებისა და სრულყოფის თეორიული და ემპირიული მხარეები კვლევის ობიექტია, ერთი მხრივ, საქართველოს საგარეო ვაჭრობის არსებული მიმართულებები ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში გაწევრიანების შემდგომ პერიოდში, მეორე მხრივ – შიგა და გარე გარემოს ფაქტორები, რომელნიც ზემოქმედებენ წვენი ქვეყნის სავაჭრო სტრატეგიის ნამოყალიბებაზე, მესამე – ექსპორტის მხარდაჭერის ღონისძიებების მსოფლიო გამოცდილება

კვლევის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები ნაშრომში ნამოყალიბებული თეორიული მიდგომები, კონცეფტუალური დებულებები, დასკვნები და წინადადებები ეყრდნობა კონკრეტულ გაანგარიშებებს, განზოგადებულ ორიგინალურ ფაქტობრივ და სტატისტიკურ მასალას, რაც შესაძლებლობას იძლევა განისაზღვროს ფაქტორთა სისტემა, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ საქსპორტო-საიმპორტო ოპერაციების ეფექტიანობაზე და გამოიკვეთოს საქართველოს საგარეო ვაჭრობის სტრატეგიის სრულყოფის გზები კვლევის პროცესში გამოყენებულია საერთაშორისო ვაჭრობის კლასიკური, ნეოკლასიკური და ალტერნატიული თეორიების შესახებ გამოქვეყნებული ნაშრომები, აღნიშნულ თემასთან დაკავშირებული

ქართული და უცხოური სამეცნიერო ნაშრომები, უახლესი სტატისტიკური მასალა, ოფიციალური დოკუმენტები კვლევა განხორციელებულია თეორიებისა და პრაქტიკული მონაცემების ისტორიული ანალიტიკების გაანალიზების საფუძველზე თეორიული შეხედულებები, ეკონომიკური მოვლენები და სტატისტიკური მასალები გაშუქებულია სისტემურად საკვლევე პრობლემატიკის თაობაზე დასკვნების გაკეთებაში დაგვეხმარა ინდუქციისა და დედუქციის, ანალიზისა და სინთეზის, ანალოგიის, სტატისტიკის მეთოდები

ნაშრომის მეცნიერული სიახლე

- დასაბუთებულია საქართველოს გრძელვადიანი საგარეო ვაჭრობის სტრატეგიის შემუშავების და სრულყოფის აუცილებლობა ეკონომიკური გლობალიზაციის პირობებში;
- სისტემურად და ორიგინალურად არის წარმოდგენილი საქართველოს საგარეო ვაჭრობის სტრატეგიის ჩამოყალიბებაზე მოქმედი ფაქტორები,
- გამოკვეთილია თეორიული პრინციპები, რომლებიც საფუძვლად უნდა დაედოს საქართველოს საგარეო ვაჭრობის სტრატეგიის ჩამოყალიბებასა და სრულყოფას,
- ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში გაწვევრიანების შემდგომ პერიოდში, 2000-2004 წლებში, საქართველოს საგარეო ვაჭრობის მდგომარეობის ანალიზის საფუძველზე გამოვლენილია საგარეო ვაჭრობის ძირითადი ტენდენციები, დასაბუთებულია ვმო-ის წევრობის ფარგლებში ეფექტიანი საგარეო სავაჭრო სტრატეგიის შემუშავების აუცილებლობა,
- გამოვლენილია საქართველოს საგარეო ვაჭრობის მასტიმულირებელი და შემაფერხებელი ფაქტორები.

- გაანალიზებულია უცხოური გამოცდილება ექსპორტის ხელშეწყობის სფეროში, დასახულია კონკრეტული ღონისძიებები ქართული ექსპორტის სტიმულირების თვალსაზრისით,
- დასახულია ქვეყნის შიგა ეკონომიკური გარემოს სრულყოფის პრიორიტეტული ამტანები, რომელთა გადაჭრა საერთაშორისო ბაზრებზე საქართველოს წარმატებული ინტეგრირების წინაპირობაა,
- გამოვლენილია გარდამავალი ეკონომიკის პირობებში საგარეო ვაჭრობის სტრატეგიული განვითარების პრობლემები, შემოთავაზებულია ზოგიერთი მათგანის გადაჭრის ორიგინალური გზები

ნაშრომის ძირითადი დებულებები მოცემულია ავტორის მიერ გამოქვეყნებულ შრომებში

- 1 საქართველოს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში გაწევრიანების ქრონოლოგია და შედეგები, საქართველოს ეკონომიკა №6 (91), 2005 წ. გვ 59-60,
- 2 ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის გენეზისი და ფუნქციონირების პრინციპები, სოციალური ეკონომიკა, ივლისი-აგვისტო, 2005 წ. გვ 62-71;
- 3 ექსპორტის სტიმულირების მაკროეკონომიკური ღონისძიებები, საქართველოს ეკონომიკა, №11 (96), 2005 წ. გვ 30-32

დისერტაცია განხილულ იქნა ივ ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქონელმომოქცევის ეკონომიკისა და ორგანიზაციის კათედრის სხდომაზე -20/1-2006 წ., სადაც იგი შიწონებულ და რეკომენდირებულ იქნა დაცვისთვის

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა საკელევი თემა მეტად აქტუალურია პრაქტიკული თვალსაზრისით მსოფლიო ეკონომიკაში საქართველოს ინტეგრირების პროცესში უდიდესი დატვირთვა აქვს საგარეო ვაჭრობას კელევის შედეგად მიღებული დასკვნები და

შესაბამისი რეკომენდაციები, საქართველოს საგარეო ვაჭრობის სტრატეგიის ჩვენეული კონცეფცია მიეწოდება შესაბამის ორგანიზაციებს მათი გამოყენება სასარგებლო იქნება ერთიანი საგარეო ეკონომიკური სტრატეგიის შემუშავებისა და სრულყოფისას, რომელიც აუცილებელია ცვალებად სამყაროში, ერთი მხრივ, გლობალიზაციისა , და მეორე მხრივ, ჩვენს ქვეყანაში ტრანსფორმირებად ეკონომიკის პირობებში ნაშრომში სისტემურად გაანალიზებული სტატისტიკური მასალა და პრეფერენციების განზოგადებული სისტემით სარგებლობის შესაძლებლობები დააინტერესებს ბიზნეს-სუბიექტებს, რომლებიც საქართველოს ფარგლებს გარეთ აწარმოებენ საქმიანობას ან აპირებენ სავაჭრო ურთიერთობების დამყარებას ნაშრომი გამოადგება ყველა იმ პირს, ვინც ასწავლის ან სწავლობს „საერთაშორისო ეკონომიკის“, „მსოფლიო ეკონომიკის“, „საერთაშორისო ბიზნესის“, „საერთაშორისო ვაჭრობის“ კურსებს

ნაშრომის მოცულობა სადისერტაციო ნაშრომი კომპიუტერზე ნაბეჭდ 149 გვერდს მოიცავს, შედგება შესავლის, სამი თავის— შეიდი პარაგრაფის, დასკვნებისა და რეკომენდაციებისგან ძირითად ტექსტს თან ახლავს გამოყენებული ლიტერატურის სია 130 დასახელებით, დანართები ცხრილების სახით

თავი 1. საქართველოს ვაჭრობის სტრატეგიის

კონცეფტუალური საფუძვლები

11 ქვეყნის ვაჭრობის სტრატეგიის შემუშავების თეორიული საფუძვლები

ქვეყნის ეროვნული ეკონომიკის განვითარება, რომელიც აშენებს საბაზრო სისტემას თანამედროვე პირობებში, ფართოდ უკავშირდება არა მარტო შიდა შესაძლებლობებს, არამედ საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ისეთი ძირითადი ფორმის ვექტორიან გამოყენებას, როგორცაა საგარეო ვაჭრობა აქტიური მონაწილეობა საერთაშორისო სავაჭრო კავშირებში ქვეყანას აძლევს მნიშვნელოვან უპირატესობას და უხსნის ახალ პერსპექტივებს იგი საშუალებას იძლევა მსოფლიო ეკონომიკის მონაწილეებმა უფრო რაციონალურად, გამოიყენონ არსებული მატერიალური და სულიერი პოტენციალი, გაეცნონ მეცნიერების და ტექნიკის უახლეს მსოფლიო მიღწევებს, სწრაფად განახორციელონ ეკონომიკის რესტრუქტურისაცაი, სრულად და მრავალმხრივ დააკმაყოფილონ ხალხის მოთხოვნები, განახორციელონ ეროვნული სტრატეგიული ინტერესები

აღნიშნულთან დაკავშირებით ჩვენი ნაშრომის პირველი რიგის ამოცანაა საგარეო ვაჭრობის კლასიკური და თანამედროვე კონცეფციების და მათი გამოყენების თავისებურებების გამოკვლევა, საქართველოს საგარეო სავაჭრო ურთიერთობების პრაქტიკაში მათი ფუნქციონირების თავისებურებების გამგულერა სტრატეგიული და ტაქტიკური მიდგომების დამუშავებისას

მივიჩნევთ, რომ ქვეყნის საგარეო ვაჭრობის სტრატეგიას საფუძვლად უნდა დაედოს ის თეორიული მიღწევები, რომელსაც მეცნიერების შესაბამისმა დარგმა მიადწია საუკუნეების განმავლობაში, ცხადია, წარმატებული მსოფლიო მაგალითების გათვალისწინებასთან ერთად

საერთაშორისო ვაჭრობის თეორიამ ევოლუციის ხანგრძლივი ისტორიული გზა გაიარა

საერთაშორისო ვაჭრობის კლასიკური და თანამედროვე კონცეფციების კლასიფიკაცია მათი ძირითადი მიმართულებების მიხედვით შეიძლება წარმოვადგინოთ შემდეგი სქემის სახით (იხ. სქემა 1)

საერთაშორისო ვაჭრობის თეორიის ევოლუცია თავის განვითარებაში ასახავს მსოფლიო ეკონომიკური აზრის ძირითად ეტაპებს, დაწყებული კაპიტალისტური საწარმოო ურთიერთობებიდან მერკანტილისტები (XV-XVIII სს) მიმოქცევის სფეროს პრიმატულად მიიჩნევენ და საგარეო ვაჭრობას გადამწყვეტ როლს ანიჭებენ ქვეყანაში ოქროს გადიდებისთვის, ექსპორტის იმპორტზე გადაჭარბების საფუძველზე ამიტომ სავაჭრო პოლიტიკა დაიყვანებოდა პროტექციონიზმამდე, რომელიც ასტიმულირებდა გატანას და საგარეო გადასახადების მეშვეობით აფერხებდა იმპორტს ასეთი მიდგომა ართულებდა და ზღუდავდა საერთაშორისო ვაჭრობის შესაძლებლობებს, ამიტომ თანდათან ადგილს უთმობდა თავისუფალი ვაჭრობის პრინციპს, რომელიც ძლიერდებოდა კაპიტალიზმის დამკვიდრებასთან ერთად

ინსლისური პოლიტიკური ეკონომიკის კლასიკოსები ასმითი და დრიკარდო განსახდურულ მნიშვნელობას აძლევენ წარმოების სფეროს, რომლის ეფექტიანი ფუნქციონირება უზრუნველყოფილია ბუნებრივი ფაქტორებით ამ ფაქტორების უპირატესობა ვაჭრობის თავისუფლების პირობებში, თელიდა ასმითი, ხელს უწყობს თავისი ძალისხმევის თაემოყრას იმ საქონელთა წარმოებაზე, რომელიც ქვეყანას შეუძლია გააკეთოს უკეთესად და იაფად იგი დებულებას ასაბუთებდა იმით, რომ საერთაშორისო ვაჭრობის საფუძველზე, მისი უპირატესობები განისაზღვრება წარმოების აბსოლუტურ ხარჯებში სხვაობით (ადამიანთა რაოდენობა, რომელიც აუცილებელია საქონლის

ერთეულის გამოსაშვებად) ახმითი აღნიშნავდა, რომ უფრო მეტად ხელსაყრელია საქონლის იმპორტირება იქიდან, სადაც ხარჯები აბსოლუტურად მცირეა, და იმ საქონლის ექსპორტირება, რომლის ხარჯები ექსპორტიორს უფრო მცირე აქვს¹

ახმითის “აბსოლუტური უპირატესობის თეორია” მნიშვნელოვანი იყო თავის დროზე მიუხედავად რიგი პირობითობისა, მისი მნიშვნელობა, განსაკუთრებით არა მარტო ბუნებრივი, არამედ შექმნილი უპირატესობების თვალსაზრისით, ძირითადად შენარჩუნებულია მაგრამ ახმითის თეორიის შესუღუღულობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი არ ხსნის, რატომ ვაჭრობენ ქვეყნები, რომელთაც არ გააჩნიათ აბსოლუტური უპირატესობა საქონლის წარმოებაში


ა ხმითის იდეები განავითარა და გაამდიდრა დ რიკარდომ, რომელმაც გაავრძელა კვლევა და შეიმუშავა “შეფარდებითი უპირატესობის თეორია”², რომელშიც მოცემულია საგარეო ვაჭრობის შესახებ ბევრი შემდგომი განმარტების თეორიული წანამდღვრები

დ რიკარდომ დაასაბუთა ურთიერთხელსაყრელი ვაჭრობის შესაძლებლობა მაშინ, როდესაც ერთ ქვეყანას მეორესთან შედარებით არ გააჩნია აბსოლუტური უპირატესობა პროდუქციის წარმოებაში შეფარდებითი უპირატესობა დ რიკარდომ, ა ხმითის მსგავსად, განსახდვრა როგორც განსხვავება დანახარჯებს შორის, მაგრამ არა აბსოლუტურ, არამედ შეფარდებით დანახარჯებს შორის სხვა ქვეყანასთან შედარებით ყოველი ქვეყანა ცდილობს აწარმოოს და განახორციელოს საქონლის ექსპორტირება შეფარდებით ნაკლები დანახარჯებით, იმ შემთხვევაში, თუ ეს ხარჯები აჭარბებს სხვა ქვეყნისას ამიტომ შედარებით იაფი

¹ Смит А. Исследование о природе и причинах богатства народов. М 1962. С. 330-331

² Рикардо Д. Начало политической экономии и налогового обложения. соч в 3 т. Т. I М 1995. С. 116-117

სქემა 1. საერთაშორისო ვაჭრობის თეორიის ევოლუცია



საქონლის წარმოების დიაპაზონი ფართოვდება და საგარეო ეკონომიკური კავშირების შესაძლებლობები იზრდება

შეფარდებითი უპირატესობის თეორია, მისი შემდგომი დაზუსტების გათვალისწინებით, მიუხედავად იმისა, რომ იგი ითვალისწინებდა საქონლის ღირებულების განსაზღვრას დახარჯული შრომით, არსებითად უკვე ითვალისწინებდა გარკვეული ზომით ერთობლივი მოთხოვნისა და მიწოდების თანაფარდობის გავლენას, რაც აახლოებდა საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების რეალობასთან ეს თეორია საშუალებას იძლევა აიგოს საგარეო სავაჭრო პოლიტიკა მეცნიერულ საფუძვლებზე თანამედროვე პირობებშიც იგი ქმნის შესაძლებლობას და აუცილებლობას გაფართოვდეს საგარეო სავაჭრო კავშირები მაშინაც კი, როცა კონტრაქტების წინაშე ქვეყანას არ გააჩნია აბსოლუტური უპირატესობა.

დ. რიკარდოს აღნიშნულ თეორიას მრავალი კუთხით იდეალური და სქემატური ხასიათი აქვს მის თეორიაში არის მთელი რიგი გამარტივებები

XX საუკუნის 30-იან წლებამე დ. რიკარდოს 'შეფარდებითი უპირატესობის თეორია, მიუხედავად რიგი მეცნიერების მცდელობისა, შეეტანათ მასში შესწორებები და დაზუსტებები, პრაქტიკულად ცუცხლობდა შეფარდებითი უპირატესობის თეორიისადმი ძირითადი პრეტენზიების საფუძველს წარმოადგენდა იმ გარემოების გადაღახვა, რომ იგი მოწყვეტილია ეკონომიკური ცხოვრებისაგან და დანახარჯების წყაროდ განიხილავდა მხოლოდ შრომას ამასთან, საერთაშორისო ვაჭრობისადმი მიდგომაში წარმოიშვა კონცეფცია წარმოების ფაქტორთა თანაფარდობის შესახებ ეს სუი ამგვარ ფაქტორებად გამოყოფდა შრომას, მიწას და კაპიტალს

ეკონომიკური თეორიის განვითარებამ ახმითისა და დრიკარდოს შემდეგ და მისმა გამოსვლამ კლასიკური შრომითი ცირებულების თეორიის საზღვრებიდან, რომელიც ითვალისწინებდა ალტერნატიული ხარჯების კონცეფციას და, შრომის გარდა სხვა ფაქტორების გამოყენებას, შესაძლებლობა შექმნა გადრმავებულიყო საგარეო სავაჭრო კავშირების ანალიზი საერთაშორისო ვაჭრობის ნეოკლასიკური თეორიის პოზიციებიდან კლასიკურისაგან განსხვავებით, ნეოკლასიკური თეორია ამტკიცებს, რომ ორი ქვეყანა წარმოების იდენტური პირობებით შეიძლება ვაჭრობდეს ერთმანეთთან და მიიღოს მოგება ნეოკლასიკური თეორია იყენებს ისეთ ცნებებს, როგორიცაა მოთხოვნის სხვადასხვა პირობები პარტნიორ ქვეყნებში და მზარდი ალტერნატიული დანახარჯები, რომელიც არ არის კლასიკურ თეორიაში³

საერთაშორისო ვაჭრობის ახალი, არსებითად ნეოკლასიკური მოდელი, შექმნეს შევედმა ეკონომისტებმა ეკვპერმა და ბოლინმა, რომლითაც განავითარეს დ რიკარდოს თეორია შეფარდებითი უპირატესობების განსაზღვრას მათ საფუძვლად დაუდეს წარმოების ფაქტორთა თანაფარდობა და ურთიერთკავშირი მათი აზრით, ღია ეკონომიკაში ქვეყანა ცდილობს დასაპეციალოზდეს იმ საქონლის გამოშვებაზე, რომლის უზრუნველყოფისთვისაც აქვს ჯარბი ფაქტორები. “საერთაშორისო გაცვლა – ჯარბი ფაქტორების გაცვლაა დეფიციტურზე ქვეყანა ახდენს იმ საქონლის ექსპორტირებას, რომელთა წარმოება საჭიროებს ფაქტორთა მეტ რაოდენობას, რომელიც მას ჯარბად აქვს”⁴

ა ხმითისა და დ.რიკარდოსაგან განსხვავებით, ბოლინი აანალიზებს კონკრეტულ საგარეო ეკონომიკურ სიტუაციას არა ორი

³ Бураковский И Теория международной торговли К 1996, (კვ 150)

⁴ Heckscher E F – The Effect of Foreign Trade on the Distribution of Income Rendings in the Theory of International Trade in Blackston series of republished articles on economics N 4 p 386 Ohlin B Interregional and International Trade Cambridge (Mass) Harvard University Press 1967 , p 324

ქვეყნის, არამედ ორი რეგიონის პირობებში და ასაბუთებს დასკვნას იმის შესახებ, რომ სხვადასხვა რეგიონებს წარმოების სხვადასხვა ფაქტორებით შეუძლიათ დასაქვიალდნენ საქონლის გამოშვებასა და ექსპორტზე, რომელიც მათ უფრო იაფი უჯადებათ ფულად გამოხატულებაში და არ არის აუცილებელი შრომის ერთეულის მიხედვით 'სიიაფე. ეს გარემოება ხელს უწყობს საგარეო ეკონომიკური კავშირების არსის გაგების გაფართოებას

თითქმის XX საუკუნის 60-იან წლებამდე ჰექშერ-ოჰლინის მოდელი დომინირებდა საგარეო ვაჭრობის თეორიის პრობლემების შესახებ გამოქვეყნებულ ეკონომიკურ ლიტერატურაში შემდგომში იგი კლავ განვითარდა და დასუსტდა მის სრულყოფაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ამერიკელმა ეკონომისტმა პ.სამუელსონმა, რომელმაც განავითარა დებულება იმის შესახებ, რომ თავისუფალ ვაჭრობებს შეუძლია წარმოების ფაქტორების სრული - შეფარდებითი და აბსოლუტური ნიველირება თავისუფალი ვაჭრობა განიხილება როგორც სრული, და არა უბრალოდ ნაწილობრივი შემცველად კაპიტალის გადაადინებისა, რომელსაც შეუძლია დააბალანსოს ფასები წარმოების ფაქტორებზე

სამუელსონის მიერ ჰექშერ-ოჰლინის თეორიის შემდგომმა განვითარებამ ლოგიკური დასასრული მიიღო ჰექშერ-ოჰლინ-სამუელსონის (პ-ო-ს) თეორემაში⁵, რომელშიც დასაბუთებულია იდეა წარმოების ფაქტორებზე ფასების გამოთანაბრების შესახებ

პ-ო-ს-ის თეორემა ვარაუდობს რიგ დაშვებებს, რომლებიც ცხიერებაში არ შეინიშნება. საეჭვოა, რომ საერთაშორისო ვაჭრობას შეუძლია |ფაქტობრივად უზრუნველყოს ფასების სრული გამოთანაბრება წარმოების ფაქტორებზე მიუხედავად ამ თეორიის ყველა ნაკლოვანებებისა, იგი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია

⁵ Samuelson P A Factor Proportions and the Hecksher -Ohlin Theorem//Economic Journal 1948 June

საერთაშორისო ვაჭრობის და კერძოდ, საერთო წონასწორობის პრინციპის ანაღობის დროს და ითვლება ეკონომიკური სისტემების განვითარების პირობად

საერთაშორისო ვაჭრობის კლასიკურმა კონცეფციებმა მძლავრი სამეცნიერო ფუნდამენტი შექმნა შემდგომი განვითარებისათვის, საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობების თეორიის სრულყოფისა და ახალი დოქტრინებით გამდიდრებისათვის საერთაშორისო ეკონომიკური ცხოვრება ნებისმიერ თეორიასთან შედარებით მდიდარია, იგი არ არის უძრავად, ვითარდება და ეკონომიკური მეცნიერების წინაშე გამოაქვს ახალი და უფრო რთული ამოცანები, რომელთა გადაჭრა საჭიროა გამომდინარეობდეს იმ ცვლილებების მიმდინარე ანალიზიდან, რომელიც ხორციელდება საგარეო სავაჭრო კავშირების და მათი თეორიული კვლევის სისტემაში. საერთაშორისო ვაჭრობის თეორიის შემდგომი განვითარება უარყოფს კლასიკურ თეორიას და ვითარდება შემდეგი ძირითადი მიმართულებებით

1 კლასიკური თეორიის პრინციპების გამდიდრება და სრულყოფა მათი განვრცობის გზით, წარმოების მეტი რაოდენობით ობიექტებსა და ფაქტორებს;

2 საერთაშორისო ვაჭრობის ახალი პრობლემების დამუშავება კლასიკური პოზიციიდან, რომლებიც ამა თუ იმ მიზეზის გამო არ იყო გადაწყვეტილი კლასიკოსების მიერ

3. ალტერნატიული (კლასიკურისაგან განსხვავებული) კვლევები, რომლებიც უარყოფენ კლასიკურ თეორიებს, რადგან ამ უკანასკნელთა ბაზაზე შეუძლებლად მიანიათ თანამედროვე საერთაშორისო ვაჭრობის პროცესების ახსნა ახალი თეორიები ცალკეული პრობლემების პრინციპულად ახალი დამუშავებაა

პირველი მიმართულების თეორიათა შორის თვალსაჩინო ადგილს იკავებს წარმოების სპეციფიკური ფაქტორების კონცეფცია

წარმოების სპეციფიკური ფაქტორების თეორიის თანახმად საერთაშორისო ვაჭრობას საფუძვლად უდევს საქონელთა განსხვავებული შეფარდებითი ფასები, რომლებიც წარმოშობა წარმოების სპეციფიკური ფაქტორებით ქვეყნების არაერთგვაროვანი უზრუნველყოფის გამო. ამასთან, ფაქტორები, რომლებიც სპეციფიკურია საქსპორტო დარგებისათვის, ვითარდება, ფაქტორები კი, რომლებიც სპეციფიკურია იმ დარგებისათვის, რომელთაც კონკურენციას უწევს იმპორტი, მცირდება

სპეციფიკური ფაქტორების თეორია ითვალისწინებს წარმოების გამანადგურებელ კანონს, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ წარმოების დანარჩენი ფაქტორების უცვლელობის პირობებში შრომის ხდრული პროდუქტი ქრება წარმოების გარკვეული მოცულობის მიღწევის შემდეგ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, შრომის ყოველი დამატებითი ერთეული, რომელიც ნაიდება წარმოებაში, უზრუნველყოფს მისი მოცულობის სულ უფრო ნაკლებ ზრდას ეი ხდება შრომის ხდრული მწარმოებლურობის შემცირება, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ რაც უფრო მეტად გაიზრდება შრომითი დანახარჯები, მით ნაკლები იქნება მისი ხდრული მწარმოებლურობა განსაკუთრებით რელიეფურად ეს კანონი ხომიერება, რომელიც გვეუბნება წარმოების ხდრული დანახარჯების გაზრდის გათვალისწინების აუცილებლობის შესახებ (გამანადგურებელი შედეგის) გამო, ვლინდება მომპოვებელ მრეწველობაში

საერთაშორისო ვაჭრობის განვითარების მოტივები პირდაპირ უკავშირდება შეფარდებით ფასთა შორის სხვაობებს შეფარდებითი უპირატესობის მოდელის თანახმად, ერთდროულად ნებისმიერი ფასთა ცვლილება ორ კონტრაჰენტ ქვეყანაში არ გამოიწვევს მათი შეფარდებითი ფასების ცვლილებას ამასთან, ფასთა ცვლილება, მხოლოდ ერთ-ერთ საქონელზე ან ფასების არაერთგვაროვანი

ცვლილება ორივე საქონელზე იწვევს შეფარდებითი ფასების ცვლილებას. ნებისმიერი ცვლილება საქონლის შეფარდების ფასში მეორე ქვეყანასთან შედარებით რეალური წინაპირობა ხდება საგარეო ვაჭრობის განვითარებისათვის შეფარდებითი ფასების დონეზე ზეგავლენას ახდენს მოთხოვნა და მიწოდება წარმოების სპეციფიკური ფაქტორების თეორია არსებითად წარმოების ფაქტორთა თანაფარდობის თეორიის კერძო შემთხვევაა, რომელიც გამოდინარეობს ორივე ქვეყანაში ერთგვაროვანი მოთხოვნიდან მიწოდებაში განსხვავებას განაპირობებს წარმოების ფაქტორებით ქვეყანათა სხვადასხვაგვარი უზრუნველყოფა მაგრამ ეს განსაზღვრული ზეგავლენა მოქმედებს როგორც სპეციფიკურ, ისე არასპეციფიკურ ფაქტორებზე

მიუხედავად იმისა, რომ წარმოების ფაქტორთა თანაფარდობის ნეოკლასიკური თეორია საერთაშორისო ვაჭრობის ყველაზე გავრცელებული თეორიაა, იგი მრავალჯერ დაექვემდებარა შემოწმებას სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე ყველაზე მეტად ცნობილი გახდა ამერიკელი (რუსული წარმოშობის) მეცნიერის ვლადიმერის გამოკვლევა, რომელმაც მიიღო «ვლადიმერის პარადოქსის» სახელწოდება მნიშვნელოვანი სტატისტიკური მასალების ანალიზში უწყენა, რომ მიუხედავად ვლადიმერის და შემდგომი სხვა მეცნიერების არაერთგვარადი სტატისტიკური გაანგარიშებებისა, თანამედროვე გამოთვლითი ტექნიკის გამოყენებით, რიგი ქვების განმავლობაში ბევრი ქვეყნებისათვის და საქონლისათვის, მათი შედეგები იყო მწვავე დისკუსიების საგანი და ხასიათდებოდა არაერთგვაროვნებით |

პ-ს კონცეფციის არასრულყოფილების კრიტიკულმა განხილვამ მკონომიკურ ლიტერატურაში, ასევე "ვლადიმერის პარადოქსის" პრობლემების ირგვლივ მსჯელობამ საკმაოდ ცოდნა დაამატა

საერთაშორისო ვაჭრობის სოციალ თეორიას თვით "ლეონტიევის პარადოქსის" ფაქტი სასარგებლო გაკვეთილად რჩება, რომელიც პ-ს დოქტრინის პირდაპირ გამოყენებაზე დაკავშირებს.

საერთაშორისო ვაჭრობის კლასიკური თეორიის განკითარების მეორე მიმართულება ყურადღებას ამახვილებს მის მნიშვნელობაზე შემოსავლების განაწილებაში ქვეყნის შიგნით და ქვეყნებს შორის ქვეყნის შიგნით შემოსავლებს ან ხარაღს საერთაშორისო ვაჭრობიდან იღებენ წარმოების ფაქტორების მფლობელები ფასთა ცვლილების შედეგად საბოლოო საქონელზე, რომელიც ამ ფაქტორებით არის წარმოებული და თვით მათზე ფასების ცვლილების შედეგად აბსოლუტური და შეფარდებითი უპირატესობების კლასიკური თეორიის ავტორები თვლიდნენ, რომ საერთაშორისო ვაჭრობა არ ახდენს ზეგავლენას შემოსავლების განაწილებაზე ქვეყნის შიგნით

საერთაშორისო ვაჭრობის რიგი ალტერნატიული თეორიები გამოიმდინარეობს წარმოების მასშტაბის მზარდი ეფექტის კონცეფციიდან, რომლის ავტორები არიან მკემპბელი და პერუგინი ეს კონცეფცია ანალიზის ობიექტად იღებს ისეთ სიტუაციას, როცა ვაჭრობა ქვეყნებს შორის, რომლებიც ძალიან ახლოს არიან წარმოების ფაქტორებით უზრუნველყოფის დონით, განაპირობებს მათ სპეციალიზაციას განსახდერულ საქონელზე არა მათი შეფარდებითი უპირატესობის მიხედვით, არამედ წარმოების მასშტაბზე კონომიის მიხედვით

მასშტაბზე ეფექტი იმაში მდგომარეობს, რომ ფაქტორთა დანახარჯების სრულ განსახდერული სიდიდით განაპირობებს წარმოებით სრულს დიდი სიდიდით მასშტაბის ეფექტს აქვს ორი ასპექტი გარე და შიდა. გარე ასპექტის თანახმად იზრდება ფორმების რაოდენობა, რომლებიც უშვებენ ერთი და იგივე საქონელს, მაშინ, როცა თითოეული მათგანი არ იცვლება, რაც ქმნის სრულყოფილ

კონკურენციას მასშტაბის შიდა ეფექტი იმაში მდგომარეობს, რომ წარმოიშობა არასრულყოფილი კონკურენცია, რომლის დროსაც მწარმოებლებს აქვთ შესაძლებლობა იმოქმედონ თავიანთი საქონლის ფასზე და მიადწონ გაყიდვების მოცულობის ზრდას ფასების შემცირების გზით

მასშტაბის შიგა, ეფექტმა შეიძლება გამოიწვიოს წმინდა მონოპოლიის წარმოშობა, რაც იმ დროს წარმოიქმნება ბაზარზე, როცა ფირმას არ ჰყავს კონკურენტები მონოპოლისტური კონკურენცია გამოიწვევს მასალების ბაზრის მოცულობის ზრდას ორი ქვეყნის ერთმანეთთან ვაჭრობის ერთობლივი ბაზარი იქნება უფრო დიდი, ვიდრე უბრალოდ მათი ბაზრების ჯამი ფირმათა რიცხვი და საქონელთა მრავალფეროვნება, რომელსაც ისინი უშეგებენ, იზრდება, საქონლის ერთეულის ფასი კი მცირდება

მასაშადაძე საერთაშორისო ვაჭრობის შედეგად წარმოიშობა მასშტაბის ეფექტი, რომელიც იწვევს ეკონომიას და საერთაშორისო ვაჭრობის პირობების გაუმჯობესებას საერთაშორისო ვაჭრობის ანალიზში წარმოების მასშტაბის მზარდი კუვექტის გამოყენება მნიშვნელოვნად აახლოებს მას რეალურ ეკონომიკურ პროცესებთან კლასიკურ და ნეოკლასიკურ კონცეფციებთან შედარებით

უროვნული ეკონომიკის საგარეო სავაჭრო კავშირების სტრატეგია უნდა ითვალისწინებდეს, როგორც საქონლის სასიცოცხლო ციკლის კონცეფციის ავტორი რეგნონი მიიჩნევს, ურთიერთკავშირს ტიური ახალი საქონლის სიცოცხლის ციკლის ეტაპებსა და საერთაშორისო ვაჭრობას შორის⁶

საქონლის | საერთაშორისო გადაადგილება მიმდინარეობს განსაზღვრული სასიცოცხლო ციკლის ეტაპების მიხედვით (3-დან 5-მდე სხვადასხვა ხვევიანობების თვალსაზრისით) რეგნონის

⁶ Vernon R International Investment and International Trade in the Product Life Cycle Quarterly Journal of Economics 1966 №5

გამოკვლევებში თავისებურ რეაქციად იქცა კ-ს თეორიის ექსპერიმენტული შემოწმების შედეგები, რომელიც ამერიკის მაგალითზე გაკეთდა ("ლეონტიევის პარადოქსი") რ კურნონმა თავისი ანალიზის ცენტრში დააყენა სამრეწველო წარმოების პროდუქტი, რომელიც პირველად გამოიწვია აშშ-ში

პირველ ეტაპზე, როცა წარმოიშობა ახალი პროდუქტი, იგულისხმება, რომ იგი წნდება აშშ-ის შიგა ბაზარზე და რეალიზდება მხოლოდ ქვეყნის ფარგლებში რამდენადაც მოთხოვნა ახალ პროდუქტზე წნდება თავდაპირველად ამერიკულ ბაზარზე, ეი მწარმოებლები შეისწავლიან მომხმარებელთა რეაქციას პროდუქტზე, სამეწარმეო საქმიანობა თავმოყრილია სწორედ აქ, საგარეო ბაზარზე კი ახალი პროდუქტი ჯერ არ გადის.

პროდუქტის სიმწიფის მეორე ეტაპი ხასიათდება მასობრივ წარმოებაზე გადასვლით ტექნოლოგიების სრულყოფასთან და ახალი ტექნოლოგიების ათვისებასთან ერთად ამ ეტაპზე იწყება ახალი პროდუქტის ექსპორტი, რომელიც ხასიათდება მაღალი შრომატევადობით, რამაც განაპირობა ზემოთ ხსენებული "ლეონტიევის პარადოქსი". შემდეგ თანდათან იქმნება წარმოების კაპიტალტევადობის ამალღების პირობები მისი მოხმარების რეგიონები თავდაპირველად განვითარებადი ქვეყნებით შემოიფარგლება წარმოების ფაქტორების მობილურობის ზრდასთან ერთად წარმოიშობა ელემენტთა ან მთელი ტექნოლოგიური პროცესების გადატანის პრობლემა სხვა ქვეყნების ტერიტორიაზე

მესამე ეტაპზე ხდება სტანდარტიზირებული პროდუქტის გამოშვება ახალი პროდუქტის წარმოებისა და მოხმარების პროცესის სრულად არის ათვისებული ამ საქონლის წარმოების გადატანა შეიძლება განვითარებად ქვეყნებშიც, ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნები კი იწყებენ ახალი პროდუქტის დამკვეთებს

საერთაშორისო პოზიციიდან დაცემის ეტაპი ხასიათდება განვითარებულ ქვეყნებში ბაზრების შესდუღულობით, წარმოების დიდი თავმოყრით განვითარებად ქვეყნებში ახლადშემონადებთა ქვეყნებში ბაზრის ნაწილი, რომელიც ორიენტირებულია მოცემულ საქონელზე, კმაყოფილდება იაფი სამუშაო ძალის მხრიდან იმპორტის ხარჯზე სასიცოცხლო ციკლის თეორია იძლევა შესაძლებლობას გაანალიზდეს შეფარდებითი უპირატესობების ასპექტები დინამიკაში, რაც იმაში გამოიხატება, რომ პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში მსოფლიო ბაზარზე მიმდინარეობს მწარმოებლების თანამიმდევრული ცვლა

აღნიშნული თეორია მეტად მნიშვნელოვანია საქართველოს საგარეო ვაჭრობის სტრატეგიისათვის სავაჭრო კონტრაქტები ახალი პროდუქციის შესამე ან უკეთეს შემთხვევაში, მეორე მწარმოებლებად შეიძლება იქცენ, რომელთა საქსპორტო ორიენტირი იქნება მიზნობრივი ბაზრები და უწინარეს ყოვლისა, განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნები

საერთაშორისო ვაჭრობის ალტერნატიული კლდეების მიმართულებას განეკუთვნება ცნობილი ამერიკელი ეკონომისტის მპორტერის ქვეყნის კონკურენტული უპირატესობის თეორია, რომელიც საერთაშორისო გაცვლის ზოგად საკითხებს – ეროვნული ეკონომიკების ინტერესების და ფირმების ინტერესების ურთიერთქმედებას თანამედროვე საერთაშორისო ვაჭრობის პროცესში იკვლევს ახალი პოზიციიდან მპორტერის თეორია უკავშირდება კონკრეტული ქვეყნის ცალკეული ფირმების მიერ კონკრეტული დარგების განსაზღვრული საქონლის საერთაშორისო ვაჭრობაში უპირატესობის მოპოვებას მპორტერმა შეიმუშავა ერის საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ორიგინალური კონცეფცია

ქვეყნის კონკურენტული უპირატესობის თეორიაში ავტორმა მთავარი ადგილი დაუთმო ეკონომიკის ოთხ ძირითად დეტერმინანტს, რომელიც ქმნის კონკურენტულ სივრცეს (ტარემოს, რომელშიც ფუნქციონირებს მოცემული ქვეყნის ფირმა (იხ სქემა 2)⁷

მპორტერი არ შემოიფარგლა ტრადიციული ფაქტორებით (მიწა, შრომა, კაპიტალი), როცა იკვლევდა წარმოების ნივთობრივ და არამატერიალურ წარმოების ფაქტორებს ქვეყნის კონკურენტულ უპირატესობებზე მათი ზემოქმედების თვალსაზრისით მან შემოიტანა ახალი – მეცნიერულ-ტექნიკური და საბაზრო ინფორმაცია, შრომის მწარმოებლურობა, ინფრასტრუქტურა და ა.შ ფირმის კონკურენტული უპირატესობების შექმნის ძირითად პირობას ასრულებენ მომსახურე და დამხმარე დარგები, რომლებიც უზრუნველყოფენ ფირმას საჭირო მასალებით, მაკომპლექტებლებით და მათი ყვექტიანი ფუნქციონირებისათვის და საექსპორტო ორიენტაციის მხარდაჭერისათვის საჭირო სხვა საშუალებებით

მთხოვნის მდგომარეობის მანვენებლები (მისი მოცულობა, სტრუქტურა და მისი განვითარების დინამიკა, მთხოვნის დიფერენციაცია პროდუქტთა სახეების მიხედვით, მომხმარებელთა მომთხოვნელობა საქონლის ხარისხზე, გადაამწვევტი სახით მოქმედებს სატარეო ეკონომიკურ სიტუაციაზე ამიტომ განსკუთრებით მნიშვნელოვანია ეროვნული მოთხოვნის თვისებურებები, რასაც აქტუალური მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნისათვის ეკონომიკური, კულტურული, საგანმანათლებლო ტრადიციების და ჩვეულებების გათვალისწინება ფრიად მნიშვნელოვანია საზღვარგარეთ ქართული ფირმების გასვლისათვის შიდა ბაზრის მოთხოვნები არსებით როლს თამაშობენ საერთაშორისო ვაჭრობაში სწორედ აქ უწინარეს ყოვლისა


⁷ Porter M. Международная конкуренция М 1993 გვ 90-94

განვითარებული მოთხოვნის პირობებში, გადის აპრობაციას ახალი საქონელი მსოფლიო ბაზარზე გასვლამდე

საგარეო ბაზარზე ქვეყნის კონკურენტული უპირატესობის უზრუნველყოფისათვის არანაკლებ მნიშვნელოვან როლს თამაშობს ფირმის მიერ არჩეული საბაზრო სტრატეგია და ორგანიზაციული სტრუქტურა, რომელიც გულისხმობს განსაზღვრულ მანევრირებას და მოქნილობას საგარეო საკაპრო ურთიერთობებში ჩართვის პროცესში სერიოზული სტიმულია სრულყოფილი კონკურენტული

სქემა 2

ქვეყნის კონკურენტული უპირატესობების დეტერმინანტები მპორტერის მიხედვით



გარემოს შექმნა შიდა ბაზარზე, რომელიც წარმოიშობა ფირმათა დაძაბული მეტოქეობის შედეგად თუ ფირმას სტრატეგია არ გააინია, რომელიც მიმართული იქნება კონკურენტულ გარემოში ფუნქციონირებისათვის და კონკურენტული გარემოს შესაქმნელად, საგარეო ბაზარზე ასეთი ფირმების კონკურენტული გარემო არ შეიქმნება

მ. პორტურმა მიუთითა დეტერმინანტების სისტემაზე განუსაზღვრელი, შემთხვევითი მოვლენების და სახელმწიფოს საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის ზეგავლენის შესახებ შემთხვევითმა მოვლენებმა (ფასების მკვეთრმა ცვლილებამ ნედლეულზე, ვაღუტათა გაცვლითი კურსების მნიშვნელოვანმა რყევამ და ა.შ.) შეიძლება მკვეთრად შეცვალოს მდგომარეობა მსოფლიო ბაზარზე, შეასუსტოს რომელიმე კონკურენტი სახელმწიფო და გააძლიეროს მეორეს უპირატესობა. სახელმწიფო ზეგავლენას ახდენს დეტერმინანტების სისტემის შემადგენელ ელემენტებზე ფულად-საკრედიტო, საგადასახადო, საბაჟო პოლიტიკით, აგრეთვე, ანტიმონოპოლიური რეგულირებით, ხელს უწყობს წამყვანი საექსპორტო დარგების გამყარებას და მხარს უჭერს ოპტიმალურ კონკურენტულ გარემოს ეროვნულ ეკონომიკებში, რომელიც მათი საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის აუცილებელი პირობაა

ანალიზი გვიჩვენებს, რომ საერთაშორისო ვაჭრობის კლასიკური თეორია და მისი თანამედროვე ინტერპრეტაციები ძირითადად ხსნიან საგარეო ვაჭრობის არსს, მონაწილეთა ეკონომიკურ სარგებელს ქვეყანათა შორის წარმოების ფაქტორთა უზრუნველყოფაში განსხვავების საფუძველზე რაც მეტია ეს განსხვავება, მით მეტია სხვა თანაბარ პირობებში შესაძლებლობები ვაჭრობისათვის და მისგან მიღებული მხარეთა სარგებელი. მაგრამ პრაქტიკაში, განსაკუთრებით თანამედროვე პირობებში, საერთაშორისო გაცვლის ჭარბი ნაწილი მოდის მრეწველობით განვითარებულ ქვეყნებზე, რომელთა ურთიერთვაჭრობის წილი ასევე მაღალია ისინი ხასიათდებიან მსგავსი ბუნებრივი პირობებით – ამიტომ არსებითად იზრდება შექმნილი უპირატესობების როლი, რომელიც უწინარეს ყოვლისა უკავშირდება ახალი ტექნოლოგიების წინმსწრებ დამუშავებას და დანერგვას

მეტ-ნაკლებად სრულ წარმოდგენას შეძენილი უპირატესობების არსისა და მნიშვნელობის შესახებ გვაძლევს ექ' «დანიინგის ეკლექტიკური პარადიგმა»⁸ რედინგის უნივერსიტეტის (დიდი ბრიტანეთი) პროფესორმა ჯ დანიინგმა გააერთიანა ტრანსნაკონინალური კორპორაციებისადმი მიძღვნილი კვლევებიდან პრინციპულად განსხვავებული მიდგომები და გამოყო საერთაშორისო წარმოების ხუთი ტიპი დეტერმინანტი (განმსახვრელი) ფაქტორების მიხედვით (იხ. სქემა 3)


საერთაშორისო წარმოების სხვადასხვა ტიპების სინთეზი სამი მთავარი უპირატესობის ჯგუფის რეალიზების შესაძლებლობას იძლევა საკუთრების, წარმოების განვითარებისა და ინტერნალიზაციის დამატებითი უპირატესობები უკავშირდება აქტივების ერთობლივ გამოყენებას და ტრანსაქციურ მოქმედებებს მნიშვნელოვნად მიგვანჩნია ყურადღების გამახვილება ადგილმდებარეობის უპირატესობაზე. რეგიონებს, სადაც ფირმები ახორციელებენ საქმიანობას, განსახვრავს ადგილმდებარეობის უპირატესობები ეს უპირატესობები წამოიშობა ისეთი ფაქტორების შედეგად, როგორიცაა ბასრის მოცულობა, წარმოების ფაქტორებით უზრუნველყოფა და მათზე ქვეყანათა შორის ფასებში განსხვავება, კავშირგაბმულობისა და სატრანსპორტო დანახარჯები უცხოური ინვესტიციებისათვის ადგილის შერჩევისას მიმდებ ქვეყანაში გაითვალისწინება ქვეყნის მაკროეკონომიკური სტაბილურობა, კონკურენციის დონე, საავტრო პოლიტიკა, ინფრასტრუქტურის განვითარების დონე ტარიფებმა და რაოდენობრივმა შეზღუდვებმა, რომლებიც შემოღებულია მიმდებ ქვეყანაში იმპორტზე, შეიძლება იმპორტი არახელსაყრელი გახადოს ასეთ პირობებში ადგილობრივი წარმოება ფირმის ფილიალების

⁸ მსოფლიო ეკონომიკა, გთიდეკას და შექმნილის რკლექციით, თბ 2001, ტპ 395

დახმარებით ერთადერთი საშუალებაა მიმღები ქვეყნის ბაზარზე კონტროლის დასამყარებლად

სქემა 3

”დანინგის ეკლექტიკური პარადიგმა“



ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შეზღუდვა, რომელიც წვენს ქვეყანას გაანინია, ბაზრის სიდიღვა მსოფლიო პრაქტიკა გვინვენებს, რომ საინვესტიციო ფირმები უპირატესობას ანიჭებენ დიდ ბაზრებს უცხოური ფირმისათვის შიდა ბაზარზე ორიენტირება მნიშვნელოვან როლს თამაშობს იმის მიუხედავად, მიმღები ქვეყანა აწარმოებს თუ

არა პროტექციონისტულ პოლიტიკას თუ პროტექციონისტული პოლიტიკა ასტიმულირებს ადგილობრივი წარმოების ორგანიზაციას მცირე ბაზარზე (ზოგჯერ ეკონომიკურად არაუეფექტიანი მასშტაბებითაც კი), მსხვილი ბაზრები მიმზიდველია ფირმებისთვის საბაზრო ძაღების თავისუფალი მოქმედების პირობებშიც კი ექსპორტზე ორიენტირებული ფირმები ასეთ შემთხვევაში სარგებელსაც კი იღებენ, რადგან მსოფლიო კონიუნქტურის შეცვლისას შეიძლება თავიანთი პროდუქციის ნაწილი მაინც გაყიდონ ადგილობრივ ბაზარზე

წარმოების ფაქტორებით უსრუნველყოფის საკითხი მნიშვნელოვან ხევაგაღენას ახდენს საინვესტიციო რაიონის არჩევაზე იგი მოიცავს რიგ მომენტებს ბუნებრივი რესურსების არსებობა, არაკვალიფიციური სამუშაო ძალის ღირებულება, კვალიფიციური სპეციალისტების დაქირავების შესაძლებლობა შედარებით დაბალი დანახარჯებით, ადგილობრივი საქონლისა და მომსახურების მიმწოდებელთა საქმიანობის ეფექტიანობა, დამხმარე ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის ხარისხი მიმღები ქვეყნის ეფექტიანი პოლიტიკა, სტიმულები და შეღავათები ფირმისათვის, რისკის დონე უცხოური ინვესტიციებისათვის, ასევე მნიშვნელოვნად განსაზღვრავს საქმიანობის მიმზიდველობას ამა თუ იმ რეგიონში.

ზემოაღნიშნული შექმნილი კონკურენტული უპირატესობები სამეწარმეო საქმიანობის სუბიექტების მიერ მათი ღრმა გაცნობიერების და გაგების საკითხი საჭიროა გათვალისწინებულ იქნეს როგორც უცხოური ინვესტიციების მოზიდვის, ისე უცხოურ ბაზრებზე გასვლის გზების, მეთოდების, ხერხების, ფორმების განსაზღვრებისას, ხაერთოდ, საბარეო ეკონომიკური სტრატეგიის განხორციელებისას

საერთაშორისო ვაჭრობის ძირითადი კონცეფციების შესახებ ნატარებული კვლევის საფუძველზე კლასიკურიდან და

ნეოკლასიკურიდან დაწყებული თანამედროვეთი დამთავრებული, შეიძლება ავხსნათ არა მარტო საგარეო ეკონომიკური კავშირების წარმოშობის მიხედვით და წყაროები, არამედ სხვადასხვა ქვეყანაში მათი გამოყენების ზირობები და ფაქტორები განხილულ თეორიათა დებულებების და მსოფლიო პრაქტიკაში მათი რეალიზაციის სპეციფიკის¹ გამოყენება განსაკუთრებით მნიშვნელოვანაა კარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისათვის, მათ შორის საქართველოსათვის, რამდენადაც საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბება, როგორც ეროვნულ დონეზე, ისე საერთაშორისო ასპექტით, მიმდინარეობს არატრადიციული გზებით პრაქტიკულად დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომი წლების უახლესი ისტორიის განმავლობაში საქართველოს არ გამოუყენებია მეცნიერულად დასაბუთებული საგარეო ვაჭრობის სტრატეგია, რეალური ნაბიჯი, რომელიც ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში ჩვენი ქვეყნის გაწევრიანების მიმართულებით გადაიდგა, არსებითად ვერ ცვლის საქართველოს მდგომარეობას მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრირების ასპექტით ამიტომ დღეს, როგორც არასდროს, აქტუალურია საკუთარი საგარეო სავაჭრო მოდელის შემუშავების ამოცანა, რომელიც საქართველოს საგარეო ვაჭრობის სტრატეგიის ძირითადი ელემენტია. სსრკ-ის შემადგენლობაში ყოფნის წინაისტორია, როდესაც ქვეყანა ღრმად იყო ჩართული შრომის საკავშირო დანაწილებაში, ხოციალისტური სისტემის დაშლის და შესაბამისი საგარეო კავშირების რღვევის შემდეგ ძირეულ შემაფერხებელ გარემოებად იქცა საერთაშორისო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობებში საქართველოს ჩართვისათვის

საქართველოს საგარეო სავაჭრო საქმიანობის მეცნიერულად დასაბუთებული, კომპლექსური მოდელის შემუშავება, სტრატეგიული და ტაქტიკური ასპექტებით საპასუხისმგებლო და რთული ამოცანაა მიუიჩნევთ, რომ ჩვენი ნაშრომი ამ მოდელის (სტრატეგიის) ძირითადი პრიორიტეტებისა და მიმართულებების თეორიული მიდგომებისა და ამოსავალი პრინციპების დასაბუთებაში გარკვეულ წვლილს შეიტანს

1.2. საქართველოს ვაჭრობის სტრატეგიაზე მოქმედი ფაქტორები

საქართველოს საგარეო ეკონომიკური სტრატეგია იმ დონისძიებების ერთობლიობაა, რომელიც ხორციელდება უმთავრესი მიზნის—მსოფლიო ეკონომიკაში ქვეყნის ოპტიმალური ჩართვის—მისაღწევად საგარეო ვაჭრობის სტრატეგია მისი ერთ-ერთი ფუნდამენტური მიმართულებაა და მისი ეფექტიანობა განისაზღვრება იმ საწყისებითა და, პრინციპებით, რომლებიც თავისებური კონსტრუქციის გარემოს ქმნიან უახლეს წინაისტორიულ პერიოდთან შედარებით, როცა საქართველოს საგარეო ეკონომიკური საქმიანობა ასახავდა მეურნეობრიობის საერთაშორისო სისტემაში საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში მყოფი სუბიექტის მონაწილეობას, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში საქართველოში ხორციელდება ძირეული ცვლილება საგარეო ეკონომიკურ პოლიტიკაში შედარებითი ნაკეტილობის არსებულმა ორიენტაციაში ადგილი დაუთმო ღია ეკონომიკის კურსს და ქვეყნის უშუალო ინტეგრაციას მსოფლიო სამეურნეო კავშირების სისტემაში, მისი ეკონომიკური საქმიანობის ქველა ფორმის ლიბერალიზაციას აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოს საგარეო საეკონომიკური პოლიტიკის კურსი აშკარად იხრება ფრიტრედერობისკენ. მსოფლიო პრაქტიკა მოწმობს, რომ ამგვარი კურსის შედეგები არაერთგვაროვანია ქვეყნებისთვის, მაგრამ ქვეყანათა უმრავლესობას (უფრო მეტად განვითარებულ ქვეყნებს) შემუშავებული აქვს სტრატეგია, რათა უზრუნველყონ ვრცელნი ინტერესების დაცვა. ვრცელნი უსაფრთხოება და სარგებლის მიღება გლობალურ პროცესებში მონაწილეობიდან, როგორც კალკულური სუბიექტებისათვის, ისე მთლიანად ქვეყნისთვის ამიტომ სახელმწიფოს თანამედროვე საგარეო ეკონომიკური სტრატეგია უნდა ეფუძნებოდეს, უწინარეს ყოვლისა, სისტემურობის პრინციპს, ითვალისწინებდეს

იერარქიულობას, ეტაპობრიობას და მრავალფარიანტულობას, რომელიც განზოგადოებული სახით წარმოადგენს ახალ პროცესებსა და ცვლილებებს როგორც საერთაშორისო, ისე ეროვნულ ეკონომიკურ ურთიერთობებში

ამ ამოსავალ პრინციპებზე დაყრდნობით შეიძლება გამოვკვეთოთ საქართველოს საგარეო ეკონომიკური სტრატეგიის და მათ შორის საგარეო ვაჭრობის სტრატეგიის, როგორც საგარეო ეკონომიკური სტრატეგიის ერთ-ერთი ძირითადი ნაწილის პრინციპები:

- ✓ საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში სუვერენიტეტის უზრუნველყოფა და ეროვნული საგარეო ეკონომიკური უსაფრთხოების გარანტირება,
- ✓ ქვეყნის ეროვნული ეკონომიკური ინტერესების⁹, როგორც ფუნდამენტური სტრატეგიული პრიორიტეტის, დაცვა, რომელიც დაყრდნობა ურთიერთხელსაყრელ, თანასწორუფლებიან მსოფლიო სამეურნეო კავშირებს,
- ✓ ეკონომიკის გახსნილობა საერთაშორისო ეკონომიკურ თანამშრომლობაში მაქსიმალური მონაწილეობისთვის, როგორც ეროვნული და მსოფლიო ეკონომიკური კავშირურთიერთობის გაფართოებისა და გაღრმავების აუცილებელი წინამძღვარი,
- ✓ საქონელმწარმოებელთა ეკონომიკური თავისუფლება როგორც ეროვნული ეკონომიკის და მსოფლიო სამეურნეო სისტემის ფუნქციონირების მაღალეფექტიანობის მიღწევის ძირითადი მიმართულება,
- ✓ მსოფლიო საბაზრო სისტემის მდგომარეობისადმი ეროვნული საბაზრო ეკონომიკის კანკითარების დონის ადეკვატურობა,
- ✓ საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების ისეთი ტიპის უზრუნველყოფა, რომელიც გაფართოების წინაპირობებს ქმნის,

⁹ იხ. საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია

✓ ეკონომიკური გლობალიზაციის პროცესში ოპტიმალური ჩართვა

საქართველოს საგარეო ვაჭრობის სტრატეგიაზე მოქმედი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი არის გლობალიზებადი ეკონომიკური გარემო, ამიტომ როცა საუბარი ეხება ქვეყნის ეკონომიკურ ინტეგრეციებს და მის რეალიზაციას ამა თუ იმ ფორმით, გაკრდს ვერ აუუვლით თანამედროვე პროცესებს, რომელიც მსოფლიოში კითარდება

გლობალიზაციის მრავალრიცხოვან განმარტებათაგან, რომელიც უკანასკნელ წლებში არაერთი დისკუსიის საგნად იქცა, მივიჩნევთ, რომ იგი არის სასოციალურებივი ცხოვრების ინტერნაციონალიზაციის ახალი ეტაპი, რომელიც სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის ყველა სფეროს – ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციო-კულტურულ, ეკოლოგიურ, დემოგრაფიულ და სხვ სფეროებს ეხება. იგი იძენს ფუნქციონირების საკუთარ ნიშნებს და თანდათან დიდ ზეგავლენას ახდენს ცალკეული ქვეყნის შიდა, მათ შორის ეკონომიკურ, განვითარებაზე კაცობრიობის ეკონომიკურ ისტორიაში ეს ახალი ეპოქაა

არსებობს მოსაზრებები, რომ გლობალიზაციის საწყისებს უფრო მეტად ეკონომიკური ხასიათი აქვს¹⁰ ეკონომიკური შემადგენლის გარეშე იკარგება ძირითადი არგუმენტი, რომელიც ადასტურებს გლობალიზაციის, როგორც გარდაუვალი და პროგრესული პროცესის, ობიექტურ ხასიათს

ეკონომიკის გლობალიზაციას განაპირობებს მსოფლიო ვაჭრობის და კაპიტალის მიგრაციის გაფართოება, საბაჟო და სხვა ბარიერების შემცირება ქვეყანათაშორის ეკონომიკურ კავშირებში, ტრანსნაციონალური კომპანიების როლის გაძლიერება. ეკონომიკის რეგულირების რეგიონული და საერთაშორისო მექანიზმების როლის ზრდა და ა შ

¹⁰ იხ. Метвлев В. Глубина интеграции экономик тенденция и противоречия. А. М. 11 Мо 2001 № 2 33

ამა თუ იმ ქვეყნის საგარეო ვაჭრობის სტრატეგიის შემუშავებისას ნიშანდობლივი ხდება ის გარემოება, რომ ინტენსიფიცირდება სამეურნეო კავშირები, ღრმაედება შრომის საერთაშორისო დანაწილება, ფართოდება ვაჭრობა და მისი როლი მსოფლიო მშპ-ში მნიშვნელოვანია არა მარტო რაოდენობრივი ზრდა, არამედ პოსტინდუსტრიული ხასიათის ხარისხობრივი ცვლილებები, რომლებიც მიმდინარეობს მსოფლიო ბაზარზე გასათვალისწინებელია, მაგალითად, მსოფლიო ვაჭრობის ისეთი მნიშვნელოვანი კომპონენტი, როგორცაა სანედლეულო რესურსების მიწოდება რესურსდამზოგველი ტექნოლოგიები განვითარებულ ქვეყნებს შესაძლებლობას აძლევს იმოქმედონ მსოფლიო ფასებზე დაცემის მიმართულებით, ამასთან, მცირდება მატერიალურ რესურსებზე მოთხოვნა, რაც არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს სანედლეულო რესურსების მიმწოდებლებს

როგორც აღინიშნა, შრომის საერთაშორისო დანაწილება, ისევე როგორც საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები, დამოკიდებულია არსებულ (ბუნებრივ, გეოგრაფიულ, დემოგრაფიულ და ა.შ) და შექმნილ (საწარმოო, ტექნოლოგიურ, კონკურენტულ და სხვა) ფაქტორებზე, ასევე, ზოლიტიკურ, სოციალურ და სხვა პირობებზე

საერთაშორისო ეკონომიკის შემდგომი განვითარების შესაძლებლობები და პერსპექტივები, მსოფლიო ბაზრის მოცულობის ზრდა განისაზღვრება შრომის საერთაშორისო დანაწილების განვითარების ხარისხით, მისი გადასვლით უმაღლეს ტიპზე შრომის საერთაშორისო დანაწილების ზოგადი ტიპისათვის დამახასიათებელია მომპოვებელი და გადამამუშავებელი დარგების პროდუქციის გაცვლა თანამედროვე საერთაშორისო ვაჭრობას საფუძვლად უდკვს შრომის ნაწილობრივი დანაწილება, ძირითადად სხვადასხვა დარგების და საწარმოების მზა პროდუქციის წარმოება (მათ შორის

შიდადარგობრივი ასპექტით); შრომის ერთეულებრივი დანაწილება-სპეციალიზაცია წარმოების ცალკეულ ეტაპებზე (დეტალებზე, კვანძებზე, ნახევარფაბრიკატებზე და ა.შ.) და ტექნოლოგიური ციკლის სტადიებზე, აგრეთვე, სამეცნიერო-ტექნიკური და ტექნოლოგიური სამუშაოების შესრულებაზე

მსოფლიო ვაჭრობაზე დიდ ზეგავლენას ახდენს განვითარებული ქვეყნების ეკონომიკებში მიმდინარე სტრუქტურული ძვრები მომსახურების სფეროს, მათ შორის საინფორმაციო და მაღალი ტექნოლოგიების, სასარგებლოდ აღნიშნულ პროცესს თან ახლავს ტრადიციული საბაზო დარგების გადატანა განვითარებად და ახალი ინდუსტრიულ ქვეყნებში მართალია, ამ ქვეყნებშიც იკვეთება თანამედროვე მაღალტექნოლოგიური პროდუქციის წარმოების და საექსპორტოდ გატანის ტენდენცია, მაგრამ განვითარებული ქვეყნები რნებიან ლიდერის პოზიციებზე ახალი იდეებისა და ტექნოლოგიების დამუშავებაში

ეკონომიკის გლობალიზაციაში მსოფლიო ვაჭრობის როლის ზრდას ადასტურებს ის ფაქტი, რომ იზრდება ექსპორტის წილი მსოფლიო მშპ-ში მან მიადწია მეოთხედს თუმცა, მხოლოდ წილი არ არის მნიშვნელოვანი, იკვლება ექსპორტის ხასიათი და სტრუქტურა საერთაშორისო საქონელბრუნვაში მცირდება სათბობის და ნედლეულის წილი და იზრდება ისეთი პროდუქციის (როგორც შუალედური, ისე საბოლოო) წილი, რომელსაც ახასიათებს გადაამუშავების მაღალი ხარისხი განსაკუთრებით იზრდება საინფორმაციო, სამეცნიერო-ტექნიკური, სატრანსპორტა-საკომუნიკაციო, ტურისტული და რეკრეაციული, საფინანსო გარიგებების, სადაზღვევო და ა.შ. მომსახურების წილი

საერთაშორისო ვაჭრობის აქტივიზაციას ხელს უწყობს გლობალური ეკონომიკური ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბება და

განვითარება ეს, უწინარეს ყოველისა, კომუნიკაციების სისტემაა, რომელსაც უზრუნველყოფს მსოფლიო სატრანსპორტო სისტემა და ერთიანი მსოფლიო საინფორმაციო სივრცე

ზენაციონალური ინსტიტუტების ფუნქციონირება და გააქტიურება არსებითად გლობალური ეკონომიკის დამახასიათებელი ნიშანია საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციების საქმიანობის მიზნებში განსაზღვრულია ' არსებითად გლობალური ეკონომიკური ტარემოს გაუმჯობესება, ქვეყანათა ეკონომიკური ურთიერთობების ლიბერალიზაცია და პარმონიზაცია

გლობალიზაციის პროცესის გაშუქებისას, თანამედროვე სამეცნიერო და არასამეცნიერო მიმართულებებით, იკვეთება მრავალმხრივობა. ჩვენი აზრით, ამ პროცესის გაგლეჩა მართლაც სხვადასხვაგვარია მსოფლიოს ქვეყანათა ეკონომიკებზე, განვითარების დონეების მიხედვით, მაგრამ გამოსავალი არ არის ქვეყნის ნაკეტვასა და ამ პროცესისაგან მოწყვეტაში სწორედ საგარეო ეკონომიკური სტრატეგია უნდა გახდეს ის დასაყრდენი, რომელიც გლობალიზაციიდან დადებით შედეგებს უფრო მეტს მოუტანს ქვეყანას, ვიდრე ნეგატიურს მსოფლიო ეკონომიკის შემდგომი განვითარების შესახებ დებატებში დაბალგანვითარებული ქვეყნებისათვის საიმედოა ის ვერსია, რომლის მომხრენიც მიიწევენ, რომ გლობალიზაციას უნდა მიეცეს დემოკრატიული და რეგულირებადი ხასიათი და ამოდიოდეს მსოფლიო საზოგადოების საერთო ინტერესებიდან ყველა ქვეყნის და ერის ინტერესთა გათვალისწინებით

საგარეო სავაჭრო-ეკონომიკური სტრატეგიის შემუშავებისას პრინციპული მნიშვნელობა აქვს საბაზრო ინსტიტუტის ფუნქციონირების გათვალისწინებას საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში თუმცა, მსოფლიოში არსებული პრაქტიკული გამოცდილების გათვალისწინებით, ექვს არ იწვევს საბაზრო

ურთიერთობების სისტემაში წარუვსის აუცილებლობა ნეგატიური ეკონომიკური და სოციალური შედეგების, საბაზრო მექანიზმების უკიდურესად სპონტანური მოქმედებების შესახებ უდად ამ პროცესში, ერთი მხრივ, გასათვალისწინებელია მსოფლიო მეურნეობის განვითარების საერთო ტენდენციები, და მეორე მხრივ, ეროვნული ეკონომიკური განვითარების თავისებურებანი.

ისტორიული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ გახსნილობის კერსი ეკონომიკას აძლევს რიგ პოტენციურ უპირატესობებს და ახალ შესაძლებლობებს, რომელთაგან უმთავრესია - ეროვნული შემოსავლის საექსპორტო კომპონენტის გაზრდა იმის შედეგად, რომ იზრდება წარმოების ფაქტორების და რესურსების მასა, რომლებიც წართულია საერთაშორისო ბრუნვაში, თანდათან სრულყოფილი ხდება მსოფლიო მეურნეობასთან ურთიერთქმედების მოდელი, ხორციელდება გადასვლა ტრადიციული საერთაშორისო საქონელგაცვლიდან უფრო მაღალი ფორმის თანამშრომლობაზე (მეცნიერულ-ტექნიკური და ხაწარმო კოოპერაცია და სხვ), ვითარდება და უახლოვდება მსოფლიო დანეს სამამულე პროდუქციის ხარისხის დონე და მადლდება მისი კონკურენტუნარიანობა, იზრდება ეროვნული წარმოების ფაქტორების ტრანსსახლდერო მობილურობა, წკარდება საბაზრო ინფრასტრუქტურის ნამოყალიბება

ეჭვს არ იწვევს, რომ ეს ახალი შესაძლებლობები რეალიზებული იქნება მხოლოდ თანდათან, მას შემდეგ, რაც საქართველოს ეკონომიკა მიადლწვეს გარკვეულ რაოდენობრივ და ხარისხობრივ მახასიათებლებს, მაგრამ ამას სჭირდება საკმაოდ დიდი დრო გასათვალისწინებელია, რომ აბსოლუტურად ღია ეკონომიკა არ არის არცერთ ქვეყანაში ეროვნული ეკონომიკის მდგომარეობიდან და ინტერესებიდან გამომდინარე, „საბაზრო“ სახელმწიფოების უმრავლესობათა მთავრობები არკვეულირებენ საგარეო სავაჭრო ეკონომიკურ

საქმიანობას სხვადასხვა ადმინისტრაციული და ეკონომიკური ღონისძიებების დახმარებით

საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლა, რომელიც საქართველოში ათეულ წელზე მეტია დაიწყო, არ შემოიფარგლება მხოლოდ შიდასახელმწიფო დონეზე საბაზრო გარემოს ჩამოყალიბების პროცესით იგი მოიცავს საბაზრო ტრანსფორმაციის პროცესს საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სფეროშიც სხვადასხვა ეროვნულ ეკონომიკათა შორის საბაზრო მეურნეობის პრინციპებზე ეკონომიკური ურთიერთობების წარმართვა არსებული კავშირების რეფორმირების აუცილებელი წინაპირობაა შეიძლება ითქვას, რომ ეროვნული ეკონომიკის და მისი საგარეო ეკონომიკური სფეროს საბაზრო რეფორმირება ერთი და იგივე პროცესის - სოციალისტური მეურნეობრიობიდან საბაზრო სისტემაზე - გადასვლის ორი მხარეა ამიტომ საქართველოს საგარეო ეკონომიკური კავშირების სფეროს საბაზრო ტრანსფორმაცია ფართოდ არის დამოკიდებული ეროვნული ეკონომიკის საბაზრო ტრანსფორმაციის დონეზე

სასაქონლო-საბაზრო ურთიერთობების წარმოშობისა და განვითარების, როგორც შიდასახელმწიფო, ისე სახელმწიფოთა-შორის დონეზე, საფუძვლები ზოგადად ერთი და იგივეა: ა) შრომის საზოგადოებრივი დანაწილება და ბ) ეკონომიკურად განკავშირებული მესაკუთრეების არსებობა (უპირატესად კერძო საკუთრების ბაზაზე)

საქართველოს თანამედროვე საგარეო სავაჭრო სტრატეგიის ფორმირებაზე ორმხრივი ფაქტორები ახდენს ზეგავლენას ერთი მხრივ, გარე გარემო-გლობალიზებადი ეკონომიკა და მეორე მხრივ, შიგა გარემო - ეროვნული ეკონომიკის ბაზარზე ტრანსფორმირებადი სისტემა |

უკანასკნელმა წლებმა გვიჩვენა, რომ საქართველოში მიმდინარე რეფორმებში ჭარბობს გახსნილობის, როგორც საგარეო ეკონომიკური

საქმიანობის დაქვემდებარებული ლიბერალიზაციის განმარტება მაგრამ ასეთმა პრაქტიკამ ეკონომიკის თანამედროვე მდგომარეობის არსებობისას შეიძლება გამოიწვიოს და უკვე იწვევენ ნეგატიურ შედეგებს - მცირდება სამამულო სამრეწველო პოტენციალი მთელი რიგი დარგების და ცალკეული მნიშვნელოვანი საწარმოების განადგურებით, ხდება სახალხო მეურნეობის კომპლექსის სტრუქტურის დისპროპორციის კონსერვაცია, სადაც ჭარბობს მომსახურებელი და შრომატევადი წარმოება, ძლიერდება ფინანსური და ტექნოლოგიური დამოკიდებულება განვითარებული მრეწველობის ქვეყნებსა და ორგანიზაციებზე; შენარჩუნებულია სამამულო ექსპორტის და იმპორტის არასასურველი სტრუქტურა ეროვნული მწარმოებლებისთვის არ რჩება ადგილი შიდა ბაზარზე

ეს ტენდენციები მოწმობს იმას, რომ ეროვნული უსაფრთხოების პრობლემა სულაც არ არის მეცნიერული აბსტრაქცია მეურნე სუბიექტების საგარეო ეკონომიკური საქმიანობა საჭიროა არ წარმოშობდეს კრიზისულ მოვლენებს, არამედ, პირიქით, აქტიურად უნდა შეუწყონ ხელი მის დაძლევას სწორედ ამ ამოცანას უნდა დაექვემდებაროს დღეს საგარეო ვაჭრობის პოლიტიკა და საგარეო სავაჭრო ურთიერთობების სახელმწიფო რეგულირების მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს თავისუფალი ვაჭრობისა და პროტექციონიზმის ოპტიმალურ თანაფარდობას საქართველოს რეალიების გათვალისწინებით

დავაზუსტებთ, რომ თავისუფალ ვაჭრობაში (free trade) ნვენ ვტულისხმობთ პოლიტიკას, როცა საგარეო ვაჭრობაში სახელმწიფო მინიმალურად ერევა, რომელიც ვითარდება მოთხოვნისა და მიწოდების თავისუფალი საბაზრო ძალების საფუძველზე; პროტექციონიზმში კი - სახელმწიფოს პოლიტიკას უცხოური კონკურენციისაგან შიდა ბაზრის დასაცავად, ტექსპორტის სტიმულირებისა და ხელშეწყობის

ღონისძიებებს არც ერთ მათგანს, თუკი ისინი რადიკალურ მიმართულებად იქნება განხილული, მომავალი არ გაანინია ისტორიული პროცესის განუყოფელი ნაწილია ოქროს შუაღელდის პონა სახელმწიფო შემოქმედების იმპერატივებს და მოქალაქეთა პირად თავისუფლებას შორის და, კერძოდ, წარმოების ატენტთა თავისუფლებას შორის

დასაუღელდის თანამედროვე სახელმწიფოები ფრიტრედერობის პოსტულატებს აღიარებენ, მაგრამ მთლიანად არ უარყოფენ პროტექციონისტული მეოღელების გამოყენებას ფაქტები მოწმობენ, რომ მთავრობათა ეკონომიკურ პოლიტიკაზე ზეგაღელენას ახღენენ როგორც პროტექციონიზმის, ისე ფრიტრედერობის მომხრეები როგორც ერთ, ისე მეორე მხარეს ჰყავს პარლამენტებში თავიანთი ღობისტერი ჯგუფები, მონაწიღეობენ კანონთა განხიღევაში, ქმნიან კოალიციებს, პუღებს, კღუბებს, აქეთ თავიანთი პრესა და სამეცნიერო გამიცემები. ორივე განსახიღეველი მიმართუღეღა შეიღღეღა წარმოდღენიღი იყოს კონცეპტუაღური სკოღის სახით და როგორც ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებუღი აღტერნატიუღი კონკრეტუღი ინსტრუმენტები

ამა თუ იმ ინსტრუმენტების ეფექტიანობის შესაღარებღად (მთლიანად თუ არა რაიმე რაკურსით) დაღეღმარებღდა ეკონომიკის ოპტიმადღური ეფექტიანობის ზუსტი კრიტერიუმების შემქმნაღება სხვადასხვა პირობებში, მაგრამ ასეთი კრიტერიუმები, სამწუხაროდ არ არის შექმნიღი

თუ ვისაზებრებთ ფრიტრედერობისა და პროტექციონიზმის იღეღების რეაღიზებუღეღობის ზომების შესახებ, მაშინ დაღინახაღეთ, რომ ცხოვრება უპირატესობას აღღეღეს პროტექციონიზმს, მაგრამ მისი აბსოღუტიზაციის გარეშე, თუ საუბარი ეხება საბაზრო საფუძემღეღზე მოქმედ ეკონომიკას, ფრიტრედერობის დოქტრინა კი წარმადღენს

გარკვეულ იდეალურ მოდელს, რომელიც თითქმის არ გამოიყენება სინამდვილეში ფორტიდებები სვეულდებრივ ძლიერ აკრიტიკებენ სახელმწიფოს გადაჭარბებულ შემოქმედებას, ტოტალიტარიზმს, ბიუროკრატისმს, არაეფექტიანობას, მაგრამ მათი პოზიტიური პროგრამა, როგორც წესი, სუსტია, მონაწილეობა კი ეკონომიკურ პოლიტიკაში – მეტად შეზღუდული

ნებისმიერი სახელმწიფოს საგარეო ვაჭრობა, როგორც წესი, აიგება ურთიერთმოგების საფუძველზე მაგრამ ურთიერთმოგებიანობა აქ არის არა მარტო სავაჭრო და საიმპორტო ოპერაციების დაბალანსებულობა, არამედ უფრო ფართო პრობლემაა განსახდერული სახელმწიფო სტრატეგიისა, რომელიც ყოველთვის იმყოფება ერთიანობაში სიციალურ-ეკონომიკური განვითარების პრობლემებთან

ეროვნული საგარეო სავაჭრო-ეკონომიკური სტრატეგიის არჩევანზე არსებით შეგავლენას ახდენს როგორც სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა ქვეყანაში, ასევე ტენდენციები მსოფლიო ეკონომიკაში ამ ფაქტორების ურთიერთქმედებას მუდმივად წარმოშობს კროკნული სახელმწიფოების საგარეო სავაჭრო პოლიტიკაში ორ ტენდენციას – ლიბერალიზმს და პროტექციონიზმს ორივე ასახავს უწყ ამა თუ იმ ქვეყნის რეაქციას ცვლილებებზე შრომის საერთაშორისო დანაწილებაში (შსდ) და საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში

შსდ-ის განვითარების შესაძლებლობების გამოვლენა ჩვენს ქვეყანაში, ისევე როგორც სხვა სოციალისტურ ქვეყნებში, შეზღუდული იყო ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების უმაღლესმა დონემ განაპირობა უპირატესად სახელმწიფოს, როგორც საერთაშორისო ურთიერთობების მთავარი სუბიექტის განსახდერა საბაზრო პრინციპებზე გადასვლასთან ერთად იცვლება სახელმწიფო მართვის მეთოდები და საგარეო ეკონომიკურ, მათ შორის სავაჭრო, კავშირებში

გასახელმწიფოების გადალახვა ხორციელდება მათი ღრმა ლიბერალიზაციით


სახელმწიფო მონოპოლია მოიხსნა საგარეო ვაჭრობაზე, თუმცა საგარეო სავაჭრო სტრატეგიის შემუშავებასა და რეალიზაციაში მას მნიშვნელოვანი როლი აკისრია, რამაც ხელი უნდა შეუწყოს დამოუკიდებელ საგარეო ეკონომიკურ საქმიანობას

ცალკეული ქვეყნის საგარეო ვაჭრობის სახელმწიფო რეგულირების ფორმები და მეთოდები მსგავსია, ან შემუშავებულია ხანგრძლივი მსოფლიო პრაქტიკის გათვალისწინებით, მაგრამ არსებითი განსხვავებანი გააჩნიათ შესრულების მექანიზმში იმის მიხედვით, ჭარბობს ფრიტრედერული თუ პროტექციონისტული ორიენტაცია

თანამედროვე ეპოქაში პროტექციონიზმმა თავისებური გაგება შეიძინა გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების და მათ შორის სვენ ქვეყნისათვის, არსებითი მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, რომ სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებელი ცალკეული სტრუქტურული ერთეული განიცდის ტრანსფორმაციას და არსებულისაგან განსხვავებული დატვირთვა აქვს საბაზრო ეკონომიკაში საგარეო ვაჭრობის სტრატეგიაზე, როგორც ეროვნული ეკონომიკური ინტერესების გლობალურ გარემოში რეალიზაციის ღონისძიებების ერთობლიობაზე, მათ კომპლექსური გავლენა გააჩნიათ

საქართველოს საგარეო სავაჭრო სტრატეგიის ნამოყალიბების გარემო სქემატურად შეიძლება ასე წარმოვადგინოთ (იხ. სქემა 4)

ყველა საწარმოს და კომპანიას, საკუთრების ფორმის მიუხედავად, აქვს უფლება განახორციელოს საგარეო სავაჭრო ოპერაციები სახელმწიფოს როლი შეზღუდულია მარეგულირებლის და მაკონტროლებლის ფუნქციებით, რომელიც გამორიცხავს პირდაპირ ნარევას ფირმების საგარეო ეკონომიკურ საქმიანობაში



საბაზრო ტრანსფორმაციის განხორციელება ეროვნულ ეკონომიკაში განსახელმწიფოების, პრივატიზაციის, მეწარმეობის და კონკურენციის განვითარების ბაზაზე ქმნის ეკონომიკურ საფუძველს საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების რეფორმირებისათვის, ამ ურთიერთობების როგორც ობიექტების,

ისე სუბიექტების რაოდენობრივი და ხარისხობრივი ცვლილებებისათვის ამ პროცესში კიდევ უფრო დიდი ცვლილებები შეაქვს სამეწარმეო საქმიანობის გარდაქმნას, გაფართოებულ შესაძლებლობებს, კონკურენციულ-საბაზრო გარემოსა და მსოფლიო სამეურნეო კავშირების ლიბერალიზაციას

საქონელი და მომსახურება, რომელიც ბრუნავს მსოფლიო ბაზარზე, მიახლოებით 14 ტრლნ დოლარს აჭარბებს საქონლისა და მომსახურების გაცვლა საერთაშორისო ბაზარზე ხასიათდება არა მარტო უზარმაზარი მოცულობით, არამედ ფართო ასირტიმენტით, ხარისხის მრავალფეროვნებით და დიდი კონკურენტუნარიანობით საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობებთან უშუალო კავშირშია სპეციალიზაცია და კოოპერირება წარმოებისა და სამეცნიერო-ტექნიკური მუშაობის სფეროში

ფართოდ ვითარდება არა მარტო საქონლისა და მომსახურების გაცვლა, არამედ წარმოების ფაქტორების გადაადგილება სხვადასხვა ქვეყანას შორის ესაა უწინარეს ეოფლისა, კაპიტალის სხვადასხვა ფორმით მოძრაობა, საერთაშორისო საფინანსო საკრედიტო რესურსების გამოყენება, სამუშაო ძალის მიგრაცია, ინტელექტუალური საკუთრების გაცვლა და ა.შ მსოფლიო ეკონომიკური კავშირების ობიექტად იქცა გლობალური პრობლემები და პროექტები

საბაზრო გარდაქმნის პროცესში მნიშვნელოვნად ფართოვდება საერთაშორისო ეკონომიკური კავშირების სუბიექტების წრე აღმინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემისაგან განსხვავებით ასეთი ურთიერთობების სუბიექტებად იქცნენ კერძო ფირმები, ცალკეული მეწარმეები

საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სუბიექტები არიან სახელმწიფოები, ტრანსნაციონალური კომპანიები, საერთაშორისო ორგანიზაციები

განსაკუთრებით აქტუალურად დგას საკითხი კონკურენციის განვითარების შესახებ საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სფეროში გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნისათვის, რადგან მსოფლიო ბაზარი უკვე წამოყალიბებულია და ახალი ნიშის მოძიება არ არის ადვილი უზარმაზარი მოცულობის, რაოდენობის და ნაკრების საქონლის მასისა და მომსახურების შედეგად, რომელიც ბრუნავს მსოფლიო ბაზარზე, ასევე სუბიექტთა დიდი რაოდენობის გამო, აქ კონკურენცია ბევრად მკაცრია, ვიდრე საშინაო ბაზარზე

საგარეო სავაჭრო ურთიერთობების რეფორმირებაში არსებითი მნიშვნელობა აქვს ეკონომიკურ მდგომარეობას და ტრანსპორტირების პრობლემას საერთაშორისო საკაჭრო ურთიერთობების სივრცობრივი განფენილობის გამო წარმოიშობა მყიდველისა და გამყიდველის მნიშვნელოვანი დაშორება, რაც ზრდის ხარჯებს. აღნიშნულს ემატება წარმოების ფაქტორების, განსაკუთრებით ბუნებრივი რესურსების, მცირე მობილურობა

საბაზრო გარდაქმნების გატარებამ ხელი შეუწყო საწარმოთა პირდაპირ გასვლას საგარეო ბაზრებზე ეს პროცესი გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში კიდევ შეუწეობს ხელს სამწარმოო საქმიანობის განვითარებას, კონკურენციას და საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ლიბერალიზაციას, რაც თავის მხრივ, ხელს შეუწყობს თავისუფალი საბაზრო ურთიერთობების განმტკიცებას და ეროვნული ეკონომიკის განვითარებას.

საბაზრო გარდაქმნები საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში უკავშირდება საგარეო სავაჭრო ბრუნვის გაფართოებას და მათი

გახსნილობის ხარისხის ამაღლებას ტრანსფორმირებად ქვეყანათა უმრავლესობა ცდილობს ინტეგრირებას მსოფლიო მურუნეობაში, რათა ისარგებლოს საერთაშორისო ვაჭრობის უპირატესებით და აბსოლუტური მოგების გაზრდის შესაძლებლობით, რომელიც უკავშირდება წარმოების ფაქტორების გაიაფებას და ეფექტიანობის ამაღლებას შრომის საერთაშორისო დანაწილების და უფრო მწარმოებლურ საბაზრო ტექნოლოგიებზე წარმოებული ექსპორტი-იმპორტის საფუძველზე

ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების გამოცდილება, რომლებიც ღრმად არიან ინტეგრირებულნი მსოფლიო მურუნეობაში, მოწმობს, რომ ეკონომიკურ ზრდას და კეთილდღეობას მნიშვნელოვნად განაპირობებს საგარეო ეკონომიკური კავშირების განვითარების პრიორიტეტული მიმართულებების სწორი არჩევანი და რეალიზაცია, რომლებიც უზრუნველყოფს საგარეო ვაჭრობის გრძელვადიან მაღალეფექტიანობას მაგრამ შეფარდებითი და აბსოლუტური უპირატესობები შეიძლება რეალიზდეს სხვადასხვა სისრულით და მიმართულებით, ქვეყანაში არსებული პირობებიდან გამომდინარე

საქართველო, ისევე როგორც პოსტსოციალისტური ქვეყნების უმრავლესობა, სერიოზულ ხირთულეებს ხვდება მსოფლიო ეკონომიკაში ჩართვის პროცესში გლობალურ ეკონომიკაში ინტეგრაციის შედეგები ბევრი მათგანისათვის აღმოსნდა არაერთგვაროვანი, ინტეგრაციის ეფექტიანობა კი სრულიად არ არის ნათელი არსებული სისტემის სამეურნეო კავშირებიდან გამოსვლის შემდეგ ახალმა დამოუკიდებელმა სახელმწიფოთა უმრავლესობამ ვერ შეძლო წარმატებულად ჩართულიყო მსოფლიო სამეურნეო კავშირების ალტერნატიულ სისტემაში

უწინარეს ყოვლისა, სამეურნეო კავშირების სისტემურმა რეინტეგრაციამ გამოიწვია შეუქცევადი ეკონომიკური დანაკარგები

საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაცია, რაც არ უნდა პარადოქსულად ჩანდეს, აღმოჩნდა მთავარი მიზეზი, რომელიც ხელს უძღლის ამ ქვეყნების ისარგებლონ თავისუფალი ვაჭრობის გრძელვადიანი მოგებით გახსნილობის ზრდამ არაკონკურენტუნარიან შიდა ბაზრებზე სტიმული მისცა ღრმა ეკონომიკურ დაცემას, რომელმაც გამოიწვია ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნის პარალიზება, რომელიც აუცილებელია ეფექტიანი საერთაშორისო სპეციალიზაციისათვის და რომელიც ხელს უწყობს შრომის საერთაშორისო დანაწილებიდან პოტენციური მოგების მიღების შესაძლებლობას

ჩამოყალიბდა მდგრადი არასასურველი ტენდენცია არახელსაყრელი კონკურენტუნარიანობის პირობები ხელს უწყობს ქვეყანაში საერთაშორისო ვაჭრობის შეფარდებითი უპირატესობა გამოყენებულ იქნეს ნაკლებპერსპექტიულ დარგებში, შენარჩუნებულ იქნეს შსდ-ის ნაკლებხელსაყრელი მიმართულებები, რაც პერსპექტივაში აბსოლუტური მოგების მიღებაზე უარისთქმის ტოლფასია

განხილულ გარემოებათა გათვალისწინებით, ჩვენი ქვეყნისთვის დღის წესრიგში დგება საგარეო ვაჭრობის სტრატეგიის სრულყოფის აუცილებლობა

თავი 2. საქართველოს საგარეო ვაჭრობის თანამედროვე მდგომარეობა

2.1. საგარეო ვაჭრობის დინამიკა და სტრუქტურული თავისებურებანი

გასული საუკუნის 90-იანი წლებიან დაწყებული საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესი, რომელიც მეტად რთულად მიმდინარე რეფორმებში აისახა, შიდა პროცესებთან ერთად ტულისხმობს ჩვენი ქვეყნის ჩართვას მსოფლიო მეურნეობაში მანამდე საქართველოს ეკონომიკა საბჭოთა კავშირში იყო ინტეგრირებული და საგარეო ვაჭრობას ძირითადად წევრ ქვეყნებთან ახორციელებდა საქართველოს ექსპორტის 96% და იმპორტის 72% ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებზე მოდიოდა საქართველოს საექსპორტო საქმიანობა წარმატებული იყო საბჭოთა პერიოდში ჩვენს ქვეყანას პიონდად დღებითი საგარეო სავაჭრო ბალანსი, რადგან საბჭოთა კავშირის შიგა ბაზარზე ნედლეულისა და ენერგომატარებლების შიდა ფასები მსოფლიო ფასებთან შედარებით დაბალი იყო, კვებისა და მსუბუქი მრეწველობის პროდუქციის ფასები კი აღემატებოდა შესაბამის მსოფლიო ფასებს ამდენად, საქართველოს საწარმოები იაფად ამზადებდნენ ისეთ პროდუქციას, რომელიც შემდეგ სარფიანად იყიდებოდა საბჭოთა კავშირის ბაზარზე აქედან გამომდინარე, საქართველოს წარმოება ორიენტირებული იყო სწორედ ამ ბაზარზე¹¹ თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა პერიოდში კავშირის მასშტაბით პროდუქციის გატანას არ შეიძლება ვუწოდოთ საექსპორტო საქმიანობა თანამედროვე გაგებით, რადგან პროდუქციის გასაღება ეკავშირე ეკონომიკის წესების მიხედვით ხორციელდებოდა ამასთან, საბჭოთა კავშირის ფარგლებს გარეთ გატანილ საქონელში რესპუბლიკების წილი საერთოდ არ ფიქსირდებოდა, მხოლოდ 90-იანი

¹¹ იხ. აბრეჯა ა. ვრცინკლა ეკონომიკა და გლობალიზაცია თბ 2005 ავ 231

წლების მიწურულს გახდა შესაძლებელი საქართველოს ექსპორტის განსაზღვრა¹²

არსებული სამეურნეო კავშირების მოშლას, წარმოების დაკეზის ყოფილი სსრკ-ის და თვით საქართველოს შიგნით არ შეიძლებოდა არ გამოეწვია საგარეო სავაჭრო ბრუნვის შემცირება და სტრუქტურული ცვლილებები

ჩვენ საკვლევ პერიოდად ავიღეთ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში საქართველოს გაწვევრიანების შემდგომი პერიოდი 2000-2004 წლები, თუმცა, რამდენიმე სიტყვით შევწერდებით წინა პერიოდის ძირითად ტენდენციებზე საგარეო ვაჭრობაში ძირითადად გამოიკვეთა არასასურველი ტენდენცია, რაც გამოიხატებოდა ექსპორტთან შედარებით იმპორტის მატებაში და საგარეო ვაჭრობის უარყოფითი ბალანსის მუდმივ ზრდაში. ექსპორტი მკვეთრად ჩამორჩებოდა იმპორტს როგორც ზრდის ტემპით, ისე აბსოლუტური მასშტაბების მიხედვით. 1994 წლიდან 1997 წლამდე იზრდებოდა საგარეო სავაჭრო ბრუნვა შესაბამისად 489 მლნ-დან 1181.5 მლნ აშშ დოლარამდე. 1998 წლის მცირე კლება (საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 1072,7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა) 1999 წელს გაგრძელდა და 824,2 მლნ აშშ დოლარი შეადგინა თუმცა, ამავე წელს ადგილი აქონდა კვეყნის საგარეო სავაჭრო ბალანსის ერთგვარ გაუმჯობესებას გაიზარდა ექსპორტი და შემცირდა იმპორტი წინა წელთან შედარებით საგარეო ვაჭრობის ქრონიკული დეფიციტი ფიქსირდება აღნიშნულ პერიოდში და 1994 წლის 185,6 მლნ აშშ დოლრიდან 1999 წელს 461,1 მლნ დოლარამდე გაიზარდა, ექსპორტით იმპორტის გადაფარვის კოეფიციენტი კი 50%-საც კი ვერ აღწევს

(იხ ვხრილი №2 1-1)

¹² იხ კავშირი კ-ს შესახებ ქს საქართველოს საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები საქართველოს ეკონომიკა საგარეო ვაჭრობის ტრად. ში, თბ., 2004, გვ. 52

საქართველოს საგარეო ვაჭრობის ძირითადი მაჩვენებლები

1994-1999 წლებში

მაჩვენებლები	1994	1995	1996	1997	1998	1999
საგარეო სავაჭრო ბრუნვა (მლნ აშშ დოლარი)	489	546,8	885,6	1181,5	1072,7	917,9
ექსპორტი (მლნ აშშ დოლარი)	151,7	151,7	198,8	239,8	192,3	228,4
იმპორტი (მლნ აშშ დოლარი)	337,3	395,1	686,8	941,7	880,4	689,5
ექსპორტის წილი ბრუნვის მოცულობაში (%)	31,0	27,7	22,4	20,3	17,9	24,9
ექსპორტით იმპორტის გადაფარვის კოეფიციენტი	44,9	38,4	28,9	25,5	21,8	33,1
საგარეო სავაჭრო ბალანსი (მლნ აშშ დოლარი)	- 185,6	-243,4	-488,0	-701,9	-6881,	-461,1

აღნიშნულ პერიოდში ექსპორტ-იმპორტის სასაქონლო სტრუქტურის ანალიზი გვიჩვენებს, რომ საქართველო იყო პირველადი ნედლეულის (სასოფლო-სამეურნეო პროდუქციისა და მინერალური ნედლეულის) ექსპორტიორი ქვეყანა. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებიდან აღსანიშნავია ჩაი, ღვინო, თხილი, ბუნებრივ წიაღისეულზე დაფუძნებული ინდუსტრიებიდან - ფერო-შენადობები, აზოტის სასუქები, ძვირფასი ლითონის მადნები და კონკრეტარტები, ჯართი; ნავთობი იმპორტირებულ პროდუქციაში ძირითადად დიდ წილს იკავებდა სამომხმარებლო საქონელი და ენერგომატარებლები რაც შეეხება სავაჭრო პარტნიორებს, მათი რიცხვი იზრდებოდა და

¹³ აქ და შემდგომ მოტანილი საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის შინაგნეპების საფუძველზე ხეობრებული ტაბლარიშტები, წინააღმდეგ შემთხვევაში ძითობრულ ია წარბ

ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში (ვმო) გაწვევრიანებადკ სვენს ქვეყანას უკვე აქონდა დამყარებული 100-ზე მეტ სახელმწიფოსთან სავაჭრო ურთიერთობა მსხვილ სავაჭრო პარტნიორთა სამეულს ქმნიდნენ რუსეთი, თურქეთი და აზერბაიჯანი, თუმცა საერთო ჯამში სავაჭრო მიმართულებები მრავალმხრივობით გამოირჩეოდა სავაჭრო პარტნიორთა რიცხვში ჩნდებიან ევროკავშირის ქვეყნები და აშშ საქართველოს საგარეო ვაჭრობაში დიდ როლს ასრულებდნენ ყოფილი სსრ კავშირის ქვეყნები, რომელნიც დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (დსთ) დაჯგუფებაში კრთიანდებიან (რუსეთი, აზერბაიჯანი, უკრაინა) ეს სახელმწიფოები თერქეთთან ერთად ქმნიდნენ როგორც ექსპორტის, ისე იმპორტის თვალსაზრისით მნიშვნელოვან პარტნიორთა ჯგუფებს.

ზემოაღნიშნული ტენდენციების ფონზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში გაწვევრიანებადქ საქართველოს საგარეო ვაჭრობის ბრუნვას ზრდის ტენდენცია აქონდა (1998 წლამდე), საგარეო ვაჭრობის სადღო იყო მუდმივად უარყოფითი, ძირითად პარტნიორთა შორის არ არიან განვითარებული ქვეყნები, ექსპორტში მცირეა მზა პროდუქციის ხვედრითი წილი, იმპორტში ჭარბობს სამომხმარებლო საქონელი და ენერგომატარებლები

განვიხილოთ 2000-2004 წლების საქართველოს საგარეო ვაჭრობის ძირითადი ტენდენციები და შემდგომ გამოვკვეთოთ, მოხდა თუ არა არსებითი ცვლილებები წინა პერიოდთან შედარებით და რა შედეგები მოიტანა ვმო-ში გაწვევრიანებამ.

საქართველოს საგარეო ვაჭრობის განვითარებას 2000 წლის შემდგომ პერიოდში ახასიათებს ცხრილი №2 1-2-ში, №2 1-3-ში, №2 1-4-ში მოტანილი მონაცემები საგარეო ვაჭრობის ბრუნვა 2000-2004 წლებში ზრდის ტენდენციით ხასიათდება 1999 წელთან შედარებით. ძირითადად იზრდება როგორც ექსპორტის, ასევე იმპორტის

მიცულობები წინა პერიოდთან შედარებით (იხ. ცხრ. №21-3) მაკრამ, ამავე დროს, ადგილი აქვს საგარეო ვაჭრობის უარყოფითი სადღოს ზრდას 1999 წელთან შედარებით

საგარეო სავაჭრო ბრუნვის ზრდა 2000 წლის 1031, 7 მლნ აშშ დოლარიდან 2004 წელს 2494,5 მლნ აშშ დოლარამდე მს/შობს იმ ფაქტს, რომ ჩვენი ქვეყანა აფართოვებდა საგარეო საკაპრო კაქშირებს "ქვეყნის სიდიდის, თეორიის" მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მცირე ქვეყნებისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრირებას, რადგან ასეთი ქვეყნები დიდ ქვეყნებთან 'ძედარებით ნაკლებად არიან უზრუნველყოფილნი ადამიანთა მოთხოვნებების დასაკმაყოფილებლად საჭირო რესურსებით მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მონაწილეობა მსოფლიო ვაჭრობაში გამოსატყლია მოკრძალებულ სიდედეებში (0,1%-საც კი ვერ აღწევს), მისი დამოკიდებულება მსოფლიო ბაზრის მდგომარეობაზე მეტად დიდია, რასაც ადასტურებს საქსპორტო და საიმპორტო კოტების მანეწებლები საქსპორტო კოტა (ქვეყნის ექსპორტის შეფარდება მთლიან შიდა პროდუქტთან) და საიმპორტო კოტა (ქვეყნის იმპორტის შეფარდება მთლიან შიდა პროდუქტთან) ნათლად წარმოსაწენს მსოფლიო მეურნეობაში საქართველოს ინტეგრირების მასშტაბს აღნიშნული მიმართულებით (იხ. ცხრილი №21-6). 2000-2004 წლებში სენი ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი (შშპ) იზრდებოდა საქსპორტო კოტა შემკირდა 2001 წელს წინა წელთან შედარებით, 2002 წელს გაიზარდა 2001 წელთან შედარებით და მკვეთრ ზრდას აქონდა ადგილი 2003 და 2004 წლებში. საქსპორტო კოტის მაღალი მანეწებლები—დაახლოებით 50%-დან 57%-მდე საანალიზო პერიოდში მიუთითებს იმაზე, რომ ქვეყანაში წარმოებულნი მთლიანი შიდა პროდუქტის ნახევარი გაიტანებოდა მსოფლიო ბაქარზე საიმპორტო კოტის მაღალი მანეწებლები კი მიუთითებს იმაზე, რომ საქართველო

საქართველოს საგარეო ვაჭრობის ზოგადი მაჩვენებლები 1999-2004 წლებში
(ცხრილი № 2 | 2)

მაჩვენებელი	1999	2000	2001	2002	2003	2004
ექსპორტი	228380 0	322562 7	317849 5	345977,6	461573 7	647075 5
იმპორტი	689544 9	709127 2	751968 7	793648 2	1140466 4	1847407 5
საგარეო სავაჭრო ბრუნვა	917924 9	1031689 9	1069818 2	1139625 8	1602040 1	2494483 0
საგარეო ვაჭრობის სადღი	-461164,9	-386564 6	-434119 3	-447670,6	-678892,6	1200331 9

საქართველს საგარეო ვაჭრობის ზრდის ტემპი 1999 წლის მიმართ (%)

მაჩვენებელი	1999	2000	2001	2002	2003	2004
ექსპორტი	100	141 2	139,2	151,5	202 1	283 3
იმპორტი	100	102 8	109 1	115 1	165 4	267 9
საგარეო სავაჭრო ბრუნვა	100	112 4	116 5	124 2	174 5	271 8
საგარეო ვაჭრობის სადღი	100	83,8	94 1	97 1	147,2	260,3

საქართველოს საგარეო ვაჭრობის ჯაჭვეური ზრდის ტემპი 2000-2004 წლებში (%)

მაჩვენებელი	2000	2001	2002	2003	2004
ექსპორტი	141,2	98 5	108,8	133 4	140 2
იმპორტი	102 8	106 0	105,5	143 7	162 0
საგარეო სავაჭრო ბრუნვა	112 4	103 7	106,5	140 6	155 7
საგარეო ვაჭრობის სადღი	83,8	112,3	103 1	151,7	176,8

ექსპორტისა და იმპორტის წილი საქართველოს მთლიან საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 2000-2004 წლებში (%)

მაჩვენებელი	1999	2000	2001	2002	2003	2004
ექსპორტი	24,9	31 3	29 7	30 4	28 8	25 9
იმპორტი	75,1	68 7	70 3	69,6	71 2	74 1
უქსორტისა და იმპორტის ბალანსის კოეფიციენტი	33 2	45 4	42,2	43,6	40 5	35 0
საგარეო სავაჭრო ბრუნვა	100,0	100 0	100,0	100,0	100,0	100 0

მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მსოფლიო ბაზარზე, ადგილობრივი მოთხოვნის უდიდესი ნაწილი კმაყოფილდება იმპორტის ხარჯზე.

2004 წელს განსაკუთრებით მაღალი იყო საიმპორტო კოტა იგი შედგენდა 162,7%-ს, რაც თითქმის 55%-ით აღემატებოდა 2000 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს და 32,6%-ით წინა წლის მაჩვენებელს სვეტ კურდნობით ოფიციალურ სტატისტიკურ მონაცემებს, მაგრამ არ შეიძლება არ აღვნიშნოთ დაუკვირვებელი ეკონომიკის შესახებ, რომლის წილი ქვეყნის მთლიან ეკონომიკაში 2000-დან 2004 წლებში შესაბამისად შეადგენდა 34,4, 33,5, 32,9, 33,4, 28,8%-ს. მოუხედავად იმისა, რომ 2004 წელს მკვეთრად არ შექვირებულია დაურეგისტრირებული წარმოების ხვედრითი წილი, საქართველოს ეკონომიკის განვითარების სამინისტროს ინფორმაციით 2004 წელს იმპორტის მკვეთრი ზრდის მიუხედავად იქცა (რაც საიმპორტო კოტაშიც შესაბამისად ასახა) კონტრაბანდული ტვირთების მოძრაობის 30-35%-ით, ნავთობპროდუქტების კონტრაბანდის 61%-დან 37%-მდე ხორბლის კონტრაბანდის 57%-იდან 20%-მდე, სამკურნალო საშუალებების კონტრაბანდის 30%-ით შემცირება

(ცხრილი №2 I-6

საქართველოს საექსპორტო და საიმპორტო კოტების ცვლილებების დინამიკა 2000-2004 წლებში

მაჩვენებლები	2000	2001	2002	2003	2004
მთლიანი შიდა პროდუქტი (მლნ აშშ დოლ.)	654,4	694,2	741,7	876,5	1135,3
ექსპორტი (მლნ აშშ დოლარი)	322,6	317,8	346,0	461,6	647,1
საექსპორტო კოტა (%)	49,3	45,8	46,6	52,6	57,0
იმპორტი (მლნ აშშ დოლარი)	709,1	752,0	793,6	1140,5	1847,4
საიმპორტო კოტა (%)	108,3	108,3	107,0	130,1	162,7

აქვე შევნიშნა, რომ მოტანილი მონაცემები არასრულად ასახავენ რეალურ სავაჭრო ურთიერთობებს, თუმცა წარმოდგენას გვიქმნიან ძირითადი ტენდენციების შესახებ საზღვრების გაკონტროლება და სავრთაშორისო სტანდარტების შესაბამისი საბაჟო აღრიცხვის წარმოება ჯერ კიდევ საჭიროებს სათანადო სამუშაოების ნატარებას მთელი საკვლევი პერიოდის შესახებ შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს სავაჭრო ოპერაციების მნიშვნელოვანი ნაწილი არ იყო რეგისტრირებული,¹ რაც დიდ პრობლემებს ქმნის საგარეო ვაჭრობის ანალიზისას

საგარეო ვაჭრობის აღრიცხვიანობის არასრულყოფილება უკავშირდება აღრიცხვიანობის არაპარმონიზებულობას საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ ნატარებული სარკისებური შედარებების პროცესში გამოვლინდა განსხვავებები საქართველოსა და პარტნიორი ქვეყნების მონაცემებს შორის ამ განსხვავებათა მიზეზებში გარკვევა მეტ-ნაკლებად ზუხტი იმპორტ-ექსპორტის მოცულობების დადგენა წარმოადგენდა სარკისებური შედარების ძირითად მიზანს ჩვენ გამოვეყენათ ზოგიერთ მთავარ პრობლემას.

- ✓ შეცდომები საბაჟო-სატვირთო დეკლარაციების შევსებისას
- საქონლის კოდის არასწორი მითითება,
- გამომგზავნი, წარმოშობი და მოვაჭრე ქვეყნების ვრთმანეთში არევა და სხვა,
- ✓ განსხვავებები საგარეო ვაჭრობის აღრიცხვის სისტემაში
- ნაციონალური თავისებურებები იმპორტისა და ექსპორტის აღრიცხვაში;
- რუსეთის ფედერაციაში და უკრაინაში, ასევე თურქეთის რესპუბლიკაში იმპორტს აღრიცხავენ წარმოშობის ქვეყნის მიხედვით, ხოლო საქართველოში გამომგზავნი ქვეყნის მიხედვით.

ამასთან თურქეთის მხარე არ აფიქსირებს, თუ რომელ ქვეყანაში ხვდება მისი თავისუფალი სავაჭრო ზონიდან გასული ტვირთები, ხოლო თუ ეს ტვირთი საქართველოში მოხვდა, ის კნდა დაფიქსირდეს ჩვენი საბაჟო ორგანოების მიერ, როგორც თურქეთიდან იმპორტი

- საქართველოში საგარეო ვაჭრობის სტატისტიკა წარმოებს დსთ-ის ქვეყნებისთვის შემუშავებულ საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურით, რომელიც ექვსნიშნა დონეზე ემთხვევა პარმონიზებული სისტემის 1996 წლის ვერსიას (II გამოცემა, 1996-2000 წწ შეტანილი ცვლილებებით და დამატებებით), ხოლო რუსეთის ფედერაციაში სარკებლობენ პარმონიზებული სისტემის ახალი 2002 წლის ვერსიით
- ✓ კონფლიქტურ რეგიონებში საქართველოს ხელისუფლების მიერ გაუკონტროლირებადი საზღვრის მონაკვეთი
- ✓ დროითი ფაქტორი.
- ✓ ასევე, არ არის გამორიცხული საქართველოს საბაჟო სამსახურის არასათანადო აღმინისტრირების ღონე

რეალური განსხვავება შეიძლება უფრო მეტიც იყოს, რადგან შეცდომები და უზუსტობები სოგჯერ ერთმანეთს აბათილებენ¹⁴ საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიტანოთ ევ “სარკისებური სტატისტიკის” მონაცემები მაგალითად, საქართველოს ვაჭრობა თურქეთთან საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემების მიხედვით, 2003 წლის ნოემბერში საქართველოს ექსპორტი თურქეთში შეადგენდა 71 მლნ. აშშ დოლარს (48 მლნ 2002 წელს), მაშინ, როდესაც თურქეთის სტატისტიკის სახელმწიფო ინსტიტუტი აფიქსირებს 240 მლნ აშშ დოლარის (116 მლნ 2002 წელს) ქართულ იმპორტს თურქეთში ამგვარი სარკისებური სტატისტიკური

¹⁴ საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ინფორმაციის ძახ ქთა, 2003 წ

პრობლემები არსებობს სხვადასხვა ქვეყნების ორმხრივი სავაჭრო ურთიერთობების ანალიზის დროსაც, მაგრამ საქართველოს შემთხვევაში განსხვავება ადგილობრივი და პარტნიორი ქვეყნების სტატისტიკურ ინფორმაციებს შორის განსაკუთრებით დიდია.¹⁵

საანალიზო პერიოდის განმავლობაში, ისევე როგორც მანამდე, საქართველოს საგარეო სავაჭრო ბალანსი დეფიციტურია უარყოფითმა სალდომ 2004 წელს 1200 მლნ აშშ დოლარს გადააჭარბა თუ შევადარებთ აღნიშნულ წლებში ექსპორტის და იმპორტის დინამიკას და საგარეო ვაჭრობის სტრუქტურას ექსპორტ-იმპორტის მიხედვით. ცხადი გახდება, რომ საგარეო ვაჭრობის მოცულობის ზრდა ხორციელდება როგორც ექსპორტის, ისე იმპორტის ზრდის ხარჯზე (იხ. ცხრ. №2 1-5) მათი ხვედრითი წონა, მეტ-ნაკლებად სტაბილურია ვაჭრობის მთლიან მოცულობაში, მაგრამ სტაბილურობა არ ნიშნავს ხასურველ მდგომარეობას პირიქით, დღემდე ვერ დაიძლია ნეგატიური ტენდენცია იმპორტის წილი საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვაში მუდმივად აღემატება ექსპორტის წილს 2000 წელს ექსპორტით იფარებოდა იმპორტის 45,6 პროცენტი, 2001 წელს — 42,2, 2002 წელს — 43,7, 2003 წელს — 40,4, ხოლო 2004 წელს მხოლოდ — 35,1 პროცენტი. იმპორტის ექსპორტით გადაფარვის კოეფიციენტის აშკარა შემცირების ტენდენცია საკითხს სვამს გაზრდილი იმპორტის არასაექსპორტო საშუალებებით დაფარვის თაობაზე, რაც პერსპექტივაში შეზღუდავს იმპორტის ზრდის შესაძლებლობებს გადახდისუუნარობის გამო და უპირველეს ყოვლისა კი. არსებითი მნიშვნელობის ხდება ექსპორტის ზრდის საკითხი არსებული სტატისტიკური მონაცემების გაანალიზებით შეიძლება გამოკვეთოთ, რომ საგარეო ვაჭრობა ხორციელდება არასასურველი ტენდენციით ექსპორტი მკვეთრად წამოიწმინდა იმპორტს, განსაკუთრებით 2003-2004

¹⁵ საქართველოს ეკონომიკის მინისტრის განცხადებით, კონსტრუქციული სექტორისა და საბაზო უბრუნო საკითხების ქართულ-ევროპული საკონსულტაციო ცენტრი 2004 წელს №1 ტკ 40-41

წლებში, როგორც ზრდის ტემპით, წინა პერიოდთან შედარებით, ისე აბსოლუტური მანუვრებლების მიხედვით აღსანიშნავია ისიც, რომ არსებული მდგომარეობა ძირითადად ემსგავსება 2000 წლამდე საქართველოს საგარეო ვაჭრობაში გამოკვეთილ ტენდენციებს

ქვეყნის საგარეო სავაჭრო ურთიერთობების დასახასიათებლად მიზანშეწონილია ვაჭრობის სასაქონლო და გეოგრაფიული სტრუქტურების გაანალიზება, მზარდი საექსპორტო და საიმპორტო სფეროების და ძირითადი სავაჭრო პარტნიორების გამოვლენა სრულ წარმოდგენას საქართველოს საგარეო ვაჭრობის სასაქონლო სტრუქტურაზე გვაძლევს ექსპორტ-იმპორტის სასაქონლო ჯგუფები (იხ. დანართი №1, №2) მათგან შეიძლება გამოკვეთოთ 10 დასახელების საექსპორტო და საიმპორტო საქონელი, რომელზეც მოდის შესაბამისად მთლიანი ექსპორტის და მთლიანი იმპორტის თითქმის ნახევარი.

საქართველოს ექსპორტის სტრუქტურაში 10 ძირითადი პროდუქციის პოზიციას წინა წლების მსგავსად იკავებს შავი ლითონების ნარჩენები და ჯართი, საფრენი აპარატები, ეურძნის ნატურალური ღვინოები, ფეროშენადნობები, შაქარი, სპილენძი, მადნები და კონცენტრატები, აზოტოვანი მინერალური ან კიმიური სასუქები, ხორბალი და მესლინი, მინერალური წყლები, ეთილის სპირტი, სპირტიანი სასმელები (იხ. ცხრ. №2 1-7) მითითებულ მანაკლებთან ერთად უნდა განვიხილოთ ცხრ. №2.1-8, №2 1-9, №2 1-10-ის მონაცემები, რათა გამოვკვეთოთ მზარდი და სტაბილური საექსპორტო ჯგუფები და ექსპორტის არსებული სტრუქტურის მიხედვით ვიმსჯელოთ მის პერსპექტიულობაზე შავი ლითონების ნარჩენების და ჯართის წილი 10-15 პროცენტის ფარგლებში მერყეობს 2000-2004 წლებში და სტაბილურ საექსპორტო საქონელს წარმოადგენს, მიუხედავად იმისა რომ მისი ზრდის ტემპი არაერთგვაროვნად იცვლებოდა საფრენი

აპარტების წილი ამავე წლებში 2-13 პროცენტის დიაპაზონშია და 2004 წელს ერთ-ერთ ძირითად საექსპორტო საქონელს წარმოადგენდა ეურძნის ნატურალური ღვინოები 9-10 პროცენტს იკავებდა საქართველოს ექსპორტში 2000-2003 წლებში და 2004 წელს აღინიშნა მისი შემცირება 7,5%-მდე მთლიან ექსპორტში, თუმცა აბსოლუტურმა მოცულობამ მოიმატა და 2004 წელს 487,2 მლნ. აშშ დოლარს მიაღწია, რაც თითქმის 215%-ით მეტია 1999 წლის მანუფაქტურებთან შედარებით

ფეროშენადნობების წილი 4,2-დან 6,6%-მდე გაიზარდა 2000-2004 წლებში საკვლევე პერიოდში მკვეთრად გაიზარდა შაქრის ექსპორტი და 2000 წლის 0,9%-დან 2004 წელს 5,3%-მდე მიაღწია და 342,9 მლნ აშშ დოლარს გაუტოლდა სპილენძის მადნების და კონცენტრატების, ასევე აზოტოვანი მინერალური ან ქიმიური სასუქების წილი 1-5 პროცენტული წილის ფარგლებში მერყეობს მცირე ხვედრითი წონითაა წარმოდგენილი ხორბალი - 0,4-დან 3,5%-მდე ექსპორტის მთლიან მოცულობაში აღსანიშნავია, რომ მინერალური წყლები ჯერ კიდევ ვერ მკვიდრდება მზარდ საექსპორტო სასაქონლო სახედ მისი წილი ექსპორტში 2000-2004 წლებში მერყეობს და შესაბამისად 2,9, 3,7; 5,0; 4,3 და 3,0% შეადგინა ეთილის სპირტის და სპირტიანი სასმელების ხვედრითი წონა 1-დან 3%-მდეა

10 ძირითადი საექსპორტო პროდუქციის სტატისტიკური ანალიზი ცხადყოფს, რომ 2000-2004 წლებში საქართველოს ექსპორტს აქონდა არასასურველი ტენდენცია ექსპორტის ძირითად ნაწილს ქმნის სასოფლო-სამეურნეო და სანედლეულო პროდუქცია, ექსპორტი არადივერსიფიცირებულია მაგალითად, 2004 წლის ექსპორტში სამ ძირითად სასაქონლო პროდუქციაზე (საფრენი აპარატები, ჯართი, ღვინო) თითქმის 36% მოდიოდა გრძელდება უახლესი ისტორიის ობიექტურად განპირობებული და ამისთან, იძულებითი, თავის გადასარჩენად და მიწის გუნობის და ცემისგან შესაკავებლად გადადგმული

საქართველოს ექსპორტი 10 ძირითადი პროდუქციის მიხედვით 1999-2004 წლებში

(ცხრილი N217 თბილისის რეგიონი)

პროდუქცია	1999	2000	2001	2002	2003	2004
ექსპორტი სულ	228380,0	322562,7	317849,5	345977,8	461573,7	647075,6
მათ შორის						
ნარჩენები და ჯართი შავი ლითონებისა	23492 7	39042 0	33109,2	36482 2	60061 1	95948 0
საფრენი აპარატები სხვა	19128 0	7086 0	35700,1	44542 9	20340 5	84017 2
ქრანის ნატურალური ღვინოები	15485 0	28991 5	32227,2	33202 2	42611 8	48719 4
ფეროშენადნობები	20248 0	13636 9	17561 5	15501 9	26100 0	42509 8
შაქარი	1917 7	2743 6	3017 0	13562 9	33974 0	34288 0
მადნები და კონცენტრატები სპილენძის	1020 1	9845,9	9589 1	13157 0	23439 3	31824 8
სასაქები მინერალური ან ქიმიური, ანტიბიოტიკები	11319 1	16191 3	4897,8	12036 8	18444 9	28756 0
ხორბალი და მესხინი	1375 7	1176 1	1295,6	6575,9	10745 5	22817 2
წლები მინერალური კონული და თიხები	4341 9	9431 2	11667 8	17290,6	19674 7	19304 7
სპირტი ეთილის, სპირტის კონცენტრაციით 80 მოც %-ზე ნაკლები, სპირტიანი სასმელები	2364,3	2952 8	3942 9	5640 1	13089 7	18910 9
დანარჩენი პროდუქცია, სულ	127687,6	191465,3	164841,2	147985,1	193092,2	219979 6

საქართველოს ექსპორტის ზრდის ტემპი (%) (ცხრილი N218)

პროდუქცია	1999	2000	2001	2002	2003	2004
ექსპორტი სულ	100,0	141 2	139 2	151,5	202 1	283 3
მათ შორის						
ნარჩენები და ჯართი შავი ლითონებისა	100 0	166,2	140 9	155 3	255 7	408 4
საფრენი აპარატები სხვა	100,0	37 0	186,6	232 9	106,3	439,2
ქრანის ნატურალური ღვინოები	100 0	187 2	208,1	214 4	275 2	314 6
ფეროშენადნობები	100 0	67,3	86 7	76,6	128 9	209 9
შაქარი	100,0	143,1	157,3	707 2	1771 6	1788 0
მადნები და კონცენტრატები სპილენძის	100,0	965,2	940 0	1289 8	2297 7	3119,8
სასაქები მინერალური ან ქიმიური, ანტიბიოტიკები	100 0	143 0	43 3	106 3	163 0	254 0
ხორბალი და მესხინი	100 0	85,5	94 2	478 0	781 1	1658 6
წლები მინერალური კონული და თიხები	100 0	217 2	288 7	398 2	453 1	444 6
სპირტი ეთილის, სპირტის კონცენტრაციით 80 მოც %-ზე ნაკლები, სპირტიანი სასმელები	100 0	124 9	166,8	238 6	553 6	799 9
დანარჩენი პროდუქცია სულ	100 0	149,9	129,1	115,9	151,2	172 3

საქართველოს ექსპორტის უაჭურვი ზრდის ტემპი (%)

პროდუქცია	2000	2001	2002	2003	2004
ექსპორტი სულ	141 2	98 5	108 8	133 4	140 2
მათ შორის					
ნარჩენები და ფართი შავი ლითონებისა	166 2	84,8	110 2	164 6	159 8
საფრენი აპარატები სხვა	37 0	503 8	124 8	45 7	413 1
კურანის ნატურალური ღვინოები	187 2	111 2	103 0	128 3	114 3
ფეროშენადნობები	67 3	128 8	88 3	168 4	162 9
შატარი	143,1	110,0	449 6	250,5	100,9
ზღნები და კონცენტრატები სპილენძის	965,2	97,4	137 2	178,2	135 8
სასუქები მინერალური ან ქიმიური, აზოტოვანი	143,0	30,2	245 8	153 2	155 9
ხორბალი და მესლიანი	85,5	110,2	507 5	163 4	212 3
წლები მინერალური კონული და თოვლი	217,2	123,7	148 2	113 8	98 1
სპირტი ეთილის სპირტის კონცენტრაციით 80 მოც %-ზე					
ნაკლები, სპირტიანი	124 9	133,5	143 0	232,1	144,5
სასმელები	149,9	86,1	89,8	130,5	113,9
დანარჩენი პროდუქცია, სულ					

(ცხრილი №219)

10 ძირითადი საქსპორტო პროდუქციის პროცენტული წილი საქართველოს
მთლიან ექსპორტში (%)

პროდუქცია	1999	2000	2001	2002	2003	2004
ექსპორტი სულ	100,0	100,0	100,0	100,0	100,0	100,0
მათ შორის						
ნარჩენები და ფართი შავი ლითონებისა	10 3	12,1	10 4	10 5	13 0	14 8
საფრენი აპარატები სხვა	8 4	2,2	11 2	12 9	4 4	13 0
კურანის ნატურალური ღვინოები	6 8	9 0	10,1	9 6	9 2	7 5
ფეროშენადნობები	8 9	4 2	5,5	4 5	5 7	6 6
შატარი	0,8	0 9	0 9	3 9	7 4	5 3
ზღნები და კონცენტრატები სპილენძის	0 4	3,1	3 0	3 8	5 1	4 9
სასუქები მინერალური ან ქიმიური აზოტოვანი	5 0	5 0	1 5	3 5	4 0	4 4
ხორბალი და მესლიანი	0 6	0 4	0 4	1 9	2 3	3 5
წლები მინერალური კონული და თოვლი	1 9	2 9	3,7	5 0	4 3	3 0
სპირტი ეთილის სპირტის კონცენტრაციით 80 მოც %-ზე						
ნაკლები, სპირტიანი	1,0	0,9	1,2	1 6	2 8	2 9
სასმელები						
დანარჩენი პროდუქცია, სულ	55,9	59,4	51,9	42 8	41 8	34 0

(ცხრილი №2110)

ნაბიჯებით გამოწვეული ტენდენციის თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი სტრუქტურული დეფორმაციის სახლადური მეტად მიიმე შეიძლება აღმოჩნდეს სანედლეულო პროდუქციაზე, როგორც ძირითად საექსპორტო საქონელზე დაერძობა 'მუხლკლას' გადამამუშავებელი დარგების და აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარების შესაძლებლობას ნედლეულის გატანა თავისთავად ნორმალური და ხელსაყრელი პრაქტიკაა მსოფლიო ვაჭრობაში, მაგრამ ჩვენი ქვეყნის ექსპორტის სტრუქტურა ზღვრულად ცალმხრივია და მოგვაგონებს ზოგიერთი ჩამორჩენილი ქვეყნის საექსპორტო სტრუქტურას, რაც საქართველოს მეტად დამოკიდებულს ხდის მსოფლიო ბაზრის კონიუნქტურის მერყეობაზე

გადავხედოთ იმპორტის სასაქონლო სტრუქტურას საქართველო საბჭოთა სისტემაში ინდუსტრიული ქვეყნის სტატუსით იყო ინტეგრირებული და იმპორტს მკვეთრად გამოხატული საწარმოო დანიშნულება ჰქონდა საბაზრო რეფორმების მთელი პერიოდის განმავლობაში იმპორტს სათბობ-ენერგეტიკული და სამომხმარებლო ხასიათი აქვს სამწუხაროდ, საქართველოს ეკონომიკის გახსნილობა არ გახდა ჩვენს ქვეყანაში სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესისა და საწარმოო ბაზის მოდერნიზაციის ქმედითი ინსტრუმენტი

2000-2004 წლებში იმპორტის სტრუქტურაში ჭარბობდა ნავთობი და ნავთობპროდუქტები, ნავთობის აირები და აირისებრი ნახშირწყალბადები, მსუბუქი ავტომობილები, შავი ლითონების მიღები და მილაკები, სამკურნალო საშუალებები, ხორბალი და მესხინი, შაქარი, ფქვილი, ელექტროენერგია, თამბაქოს ან მისი შემცველობისაგან დამზადებული სიგარები და სიგარეტები (იხ ცხრილი №2 1-11). 1999 წელთან შედარებით მხოლოდ თამბაქოს ან მისი შემცველებებისაგან დამზადებული

სიგარების და სიგარეტების იმპორტი შემცირდა აღნიშნულ პროდუქციათაგან დანარჩენის შემოტანა გაიზარდა 1999 წელთან შედარებით (იხ. ცხრილი №2.1-12) ზრდის ტენდენციით ხასიათდება მსუბუქი ავტომობილების იმპორტი 10 ძირითადი საიმპორტო პროდუქციის ზრდისა და კლების ტემპები (ვალუბადობით ხასიათდება (იხ. ცხრილი №2 1-13), მაგრამ ქმნიან იმპორტის სტაბილურ ჯგუფს 40-45%-ის ფარგლებში (იხ. ცხრ №2 1-14) ძირითადი საიმპორტო პროდუქციის მიხედვით წარმოდგენილი სტატისტიკური მონაცემებით თუ ვიმსჯელებთ, ისევე როგორც მანამდე, საქართველოსათვის არსებითია სამომხმარებლო საქონლის, ენერგომატარებლების, სამკურნალო საშუალებების შემოტანა

